ვ. საშოგლო.

საბჭოთა საქართველოს საზოგადოების გამოცემა

საბჭოთაში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის

№ 4 (284) გამოცემის მე-16 წელი

1972 წლის 25 თებერვალი

საბჭოთა საქართველოს ორგანო-თერთმეტი წლისთავი

ცამეტი კითხვა რესპუბლიკის პრეზიდენტს

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის, აკადემიკოს გიორგი ქოჭენიძის ინტერვიუ გაზეთ „სამშობლოს“ კორესპონდენტ ჯემალ ქურხულთან



● საბჭოთა საქართველო უკვე ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნისაა, რა მისცა ჩვენს რესპუბლიკას ამ ნახევარმა საუკუნემ, როგორ გესახებათ საქართველოს ადგილი საბჭოთა ქვეყნის დიდ ოჯახში?

განვლილი ნახევარი საუკუნე საქართველოს დიდი ცხოვრების ის ბრწყინვალე მონაკვეთია, რომელმაც გარდატეხა მოახდინა ერის ბედ-იღბალში. ცნობილია, რომ უძველესი კულტურის ჩვენი ერი, რომელსაც თავის დროზე ჰქონდა იყალთოსა და გელათის აკადემიები, ძველთა-ძველი დამწერლობა, ჰყავდა დიდი მასშტაბის მწერლები, ბოლოს იქამდე მივიდა, წერა-კითხვის მცოდნენი სანთლით საძებარნი გახდნენ.

ჩვენმა დიდმა წინაპრებმა ილიამ, აკაკიმ, მე-19 საუკუნის სასიქადულო მამულიშვილებმა ქვეყნის ხსნა ერის განათლებაში დაინახეს, დააარსეს წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება, გახსნეს სკოლები და ქართველობა წიგნს დაუწაფეს.

განათლება ნელი-ნელ შემოდიოდა საქართველოში. როცა დრო მომწიფდა და რუსეთის იმპერიამ რყევა დაიწყო, კაცობრიობის უკეთესი მომავლისათვის ბრძოლაში ქართველი მარქსისტებიც მონაწილეობდნენ: იოსებ სტალინი და მიხა ცხაკაია, ალექსანდრე წულუკიძე და ლადო კეცხოველი, ალიოშა ჯაფარიძე და ფილიპე მახარაძე, სერგო ორჯონიკიძე და აბელ ენუქიძე...

საქართველო საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის სრულუფლებიანი წევრია და არც ერთი მნიშვნელოვანი ხახელმწიფო პრობლემა არ გადაწყვეტილა მისი უშუალო მონაწილეობის გარეშე. ქვეყანას უჭირდა თუ ულხინდა, საქართველო შემართებული შრომისა და ბრძოლის სამაყო მაგალითი იყო.

უდიდესი განსაცდელის ჟამს, დიდი სამამულო ომის პერიოდში საქართველომ მთელ საბჭოეთთან ერთად იარაღი აისხა და მტერს შეება. ქართველებმა გმირობით ასახელეს სამშობლო, მტერი დამარცხდა და თითქოს სიმბოლური იყო, რომ დანგრეულ რაიხსტაგზე გამარჯვების დროშა რუსმა მიხეილ ეგოროვმა და ქართველმა მელიტონ ქანთარიამ აიფრიალეს.

ომის შემდეგ კვლავ შენებას შეუდექით და საბჭოთა კავშირის ხალხთა ძმურ ოჯახში ადრევე დამკვიდრებული ადგილი შრომით კიდევ უფრო განვიმტკიცეთ.

განვლილმა ნახევარმა საუკუნემ ჩამორჩენილი აგრარული ქვეყანა განვითარებულ, ინდუსტრიულ რესპუბლიკად გადააქცია. სამყაროს მარადიულობისათვის ამ მოკლე დროის განმავლობაში ქართველობა გაიზარდა და გაძლიერდა სულიერადაც და ეკონომიურადაც. დღეს მამა-პაპათა სახელოვან საქმეებს შვილები და შვილიშვილები აგრძელებენ. საქართველო მარად უძლეველია, იმის ღრმა რწმენით, რომ მას საბჭოთა ხალხების ძმურ ოჯახში არაფერი გაუჭირდება, რომ წინ ერთი გზა, დიადი კომუნისტური მშენებლობის გზა გვიდევს და ამ სანუკვარ მიზნამდე სწორედ შვილებმა და შვილიშვილებმა უნდა მიიყვანონ ჩვენი ერი.

● საქართველო უძველესი კულტურის ქვეყანაა, გვეხმარება თუ არა წარსული თანამედროვეობის შექმნაში?

საბჭოთა საქართველომ მამა-პაპათაგან დანატოვარი მემკვიდრეობიდან თავის დროზე სალი გონებითა და ფხიზელი თვალით გადაარჩია ყოველივე ქარგი. ქართველი ხალხი თვალსჩინივით უფრთხილდება საუკუნეების განმავლობაში შექმნილ და ჩვენამდე მოღწეულ ძველი ხუროთმოძღვრებისა და ლიტერატურის, ფერწერისა და ქანდაკების შესანიშნავ ძეგლებს. ეს არის დიდი საგანძური, ერის სულიერი საძირკველი, ურომლისოდაც წარმოუდგენელია თანამედროვე ხუროთმოძღვრება, ლიტერატურა, ფერწერა, ქანდაკება, მუსიკა და ხელოვნების თითქმის ყველა დარგი.

● ჩვენმა რესპუბლიკამ მრეწველობის განვითარებაში უკვე გაუსწრო ზოგიერთ ცნობილ კაპიტალისტურ ქვეყანას. რას გვეტყოდით ჩვენს სიმდიდრეზე?

საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებით ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვან ისტორიაში დაიწყო ახალი ერა. რევოლუციამდელი საქართველოს ეკონომიური ჩამორჩენილობის დასახასიათებლად საკმარისია ითქვას, რომ 1913 წელს ერთ სულ მოსახლეზე მოდიოდა 18 მანეთის სამრეწველო პროდუქცია.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში საქართველოში აშენდა თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი ათასზე მეტი მსხვილი სამრეწველო საწარმო, შეიქმნა შავი და ფერადი მეტალურგიის, მანქანათმშენებლობის, ელექტროტექნიკისა და ხელსაწყოთმშენებლობის, ქიმიური, ცემენტის, ნავთობგადამამუშავებელი, ქაღალდის, აბრეშუმის, მაუდის, ბამბეულის, საკონსერვო, ჩაის მრეწველობისა და სხვა დარგები.

დღევანდელი საქართველოს ინდუსტრიის განვითარებას მტკიცე ენერგეტიკული საფუძველი აქვს. რესპუბლიკამ 1970 წელს გამოუშვა 9 მილიარდი კილოვატსაათი ელექტროენერგია, რაც 453-ჯერ აღემატება 1913 წლის დონეს.

რუსთავის მეტალურგიული ქარხანა საბჭოთა კავშირში ერთ-ერთი მსხვილი საწარმოა მთლიანი მეტალურგიული ციკლით. ქარხანამ 1970 წელს გამოუშვა თუჯი 783 ათას ტონამდე, ფოლადი — 1.400 ათას ტონამდე, შავი ლითონის ნაგლინი — 1.200 ათას ტონამდე.

საქართველოს ინდუსტრიის სიამაყეა თბილისის ელმავალმშენებელი ქარხანა, აგრეთვე თბილისის ჩარხმშენებელი და საავიაციო, ქუთაისის საავტომობილო და მცირეგაბარიტიანი ტრაქტორების ქარხნები.

1958 წლიდან ჩამოყალიბდა მანქანათმშენებლობის ახალი დარგები, ელექტროტექნიკური მრეწველობა და ხელსაწყოთმშენებლობა, რამაც ძირეულად გარდაქმნა და გააუმჯობესა მრეწველობის სტრუქტურა.

1971 წელს რესპუბლიკის მანქანათმშენებელმა საწარმოებმა სახალო მეურნეობას მისცეს 99 ცალი მაგისტრალური ელმავალი, 15 ათასი ცალი სატვირთო ავტომანქანა. ათასობით დამზადდა აგრეთვე ლითონმჭრელი ჩარხები და კვების მრეწველობის ტექნოლოგიური მოწყობილობანი, ზუსტი ხელსაწყოები და სასოფლო-სამეურნეო მანქანები. საქართველო ერთადერთი ქვეყანაა მსოფლიოში, რომელიც სერიულად უშვებს ჩაის საკრეფ მანქანებს.

საბჭოთა ხელისუფლების პირმშოა „დიდი ქიმიის“ საწარმოები — რუსთავის ქიმიური კომბინატი, რუსთავის სინთეზური ბოჭკოს ქარხანა, ჭუთაისის ლითოფონის ქარხანა. ქიმიური მრეწველობის განვითარებას თავიდანვე დიდი ყურადღება მიექცა და იგი დღესაც შეუნელებელი ზრუნვის საგანია.

● სოფლის მეურნეობის რომელი დარგებია ჩვენში წამყვანი?

სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, რომ ჩვენში განვითარდა სოფლის მეურნეობის თითქმის ყველა დარგი, მაგრამ თანამედროვე ქართული სოფლის ძირითადი შემოსავლის წყარო მაინც მეჩაიეობა და მევენახეობაა.

ქართველ მეჩაიეებს მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე უხვი მოსავალი მოჰყავთ.

ჩვენს პირობებში სახალხო მეურნეობის უდიდეს დარგად გადაიქცა მევენახეობა. საბჭოთა ხელისუფლების წლებში ვენახების ფართობი სამჯერ და მეტად გადიდდა. საუკუნეთა განმავლობაში შეძენილი გამოცდილების წყალობით ქართული ყურძნისაგან მზადდება საუკეთესო მშრალი და მოტკბო სამარკო ღვინოები, რომელთაც საუცხოო გემო და განუმეორებელი ბუკეტი აქვთ. საერთაშორისო გამოფენებსა და კონკურსებზე ქართულმა ღვინოებმა და კონიაკებმა 160-მდე მედალი მოიპოვეს, რომელთა უმეტესობა ოქროსია.

● როგორია ამჟამად რესპუბლიკის საექსპორტო გეოგრაფია?

ჩვენი საექსპორტო გეოგრაფია ძალზე გაიშალა მას შემდეგ, რაც საქართველოს სავაჭრო პალატამ სავაჭრო-სამრეწველო გამოფენები მოაწყო პარიზში, იზმირში, თეირანსა და ალჟირში, სადაც რესპუბლიკის ექსპოზიციამ უმაღლესი ჯილდო — ოქროს დიდი მედალი მოიპოვა.

ამ წარმატებებმა საქართველოს სამრეწველო პროდუქცია მსოფლიო ბაზარზე გაიტანა და ამჟამად 66 ქვეყანასთან გვაქვს ეკონომიური ურთიერთობა. ლითონის დამმუშავებელი ჩარხები და წყალქვეშაფრთიანი კატარღები, მეტალურგიისა და ქიმიური მრეწველობის ნაწარმი, ზუსტი ელექტროხელსაწყოები და მანგანუმი, სასოფლო-სამეურნეო და კვების მრეწველობის პროდუქცია გაგვაჩნია სოციალისტურ ქვეყნებში და აგრეთვე დიდად განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებში: ამერიკის შეერთებულ შტატებსა და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, იაპონიასა და იტალიაში, საფრანგეთსა და ინგლისში, ფინეთსა და შვეიცარიაში.

● ამჟამად მთელ მსოფლიოში ვითარდება მეცნიერებისა და ტექნიკის სულ ახალი დარგები, რა მდგომარეობაა ამ მხრივ საქართველოში?

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში განვითარდა თანამედროვე მეცნიერების ისეთი მიმართულებანი, როგორიც არის კიბერნეტიკა და მართვის სისტემები. კიდევ უფრო გაფართოვდა კვლევა-ძიება სამთო მექანიკის, მანქანათა მექანიკის, სამშენებლო მექანიკისა და სეისმომედეგობის დარგებში. მსოფლიო აღიარება მოიპოვა ქართულმა მათემატიკურმა, ფიზიოლოგიის, ენათმეცნიერების, ისტორიის, გეოლოგიის სკოლებმა. ქართველ მეცნიერთა შრომები თარგმნილია და ითარგმნება მრავალ უცხოურ ენაზე. ქართველი მეცნიერების აღიარების ფაქტია მათი არჩევა საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიაში და სხვა დარგობრივ აკადემიებში. ზოგი მათგანი უცხოური აკადემიებისა და სამეცნიერო საზოგადოებების წევრადაც არის არჩეული.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში მტკიცედ დამკვიდრდა საერთაშორისო მეცნიერული თანამშრომლობის ყველა ძირითადი ფორმა. აკადემია ნაყოფიერად თანამშრომლობს გერმანიის (ბერლინში), პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიის, ბულგარეთისა და სხვა ქვეყნების მეცნიერებათა აკადემიებთან.

● საქართველოში ძველთაგანვე დიდი პატივით ეპყრობოდნენ წიგნს — მარტო „ვეფხისტყაოსნის“ მაგალითიც კმარა. როგორ დგას დღეს ჩვენში წიგნის გამოცემის საქმე?

ჩვენში წიგნს არასდროს მოჰკლებია ყურადღება. მეტიც. წიგნის გამოცემა პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ სახელმწიფო მნიშვნელობის საქმედ აქციეს. ამჟამად რესპუბლიკის ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის სისტემის გამომცემლობები: „საბჭოთა საქართველო“ და „განათლება“, „მერანი“ და „ნაკადული“, „ხელოვნება“ და მეცნიერება“, „თბილისის უნივერსიტეტი“ და „საბჭოთა აჭარა“, „ალაშარა“ და „ირისტონი“, ყოველწლიურად სტამბავენ 1.600-ზე მეტი დასა-

(დასასრული მე-2 გვერდზე)

საბჭოთა საქართველოს

ორმოცდათერთმეტი წლისთავი

ცამეტი კითხვა რესპუბლიკის პრეზიდენტს

(დასასრული. დასაწყისი პირველ გვერდზე).

ხელების წიგნს, რომელთა საერთო ტირაჟი 15 მილიონ ეგზემპლარს აღწევს. უმჯობესდება საგამომცემლო საქმეც. დამთავრდა წიგნის პალატის მშენებლობა, აიგება ოფსეტური ბეჭდვის ახალი ფაბრიკა, შრიფტის ჩამომსხმელი ქარხანა. წლეულსვე გადაიცემა საექსპლუატაციოდ ქუთაისის სტამბა-რედაქციის ლამაზი ხუთსართულიანი შენობა. სტამბა-რედაქციების შენობები აიგება აგრეთვე სოხუმში, ბათუმში, ფოთში, ახალციხეში, საგარეჯოსა და ლაგოდეხში. თბილისში შენდება ერთ-ერთი მძლავრი პოლიგრაფიული საწარმო — ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი, რომლის წლიური სიმძლავრე იქნება 314 მილიონი ანაბეჭდი ფურცელი.

● საქართველო ამაყობს თავისი ეროვნული კულტურით და იმითაც, რომ განათლების მხრივ ერთ-ერთი პირველთაგანია მსოფლიოში; რას გვეტყოდით ამის შესახებ?

მატერიალურმა დონემ განაპირობა ჩვენში ეროვნული კულტურისა და განათლების უდიდესი აღმავლობა.

იქმნება დიდი მუსიკალური ნაწარმოებები, მხატვრული ტილოები, ფილმები, სპექტაკლები; იწერება ლექსები, მოთხრობები, რომანები. ჩვენი თვალსაჩინო შემოქმედნი ხდებიან სახელმწიფო პრემიებისა და საერთაშორისო კონკურსების ლაურეატები.

საქართველოში უკვე გადავედით საყოველთაო-საშუალო განათლებაზე. ამჟამად 4.570 სკოლა გვაქვს, მოსწავლეთა კონტინგენტმა კი მილიონს გადააჭარბა.

1918 წელს დაარსებული თბილისის უნივერსიტეტი იყო საქართველოში ერთად-ერთი უმაღლესი სასწავლებელი 300 სტუდენტით; ამჟამად კი რესპუბლიკაში 18 უმაღლესი სასწავლებელია, ხოლო სტუდენტთა რაოდენობამ 90 ათასს მიაღწია. საქართველოს ყოველ 1.000 სულ მოსახლეზე უმაღლესი და საშუალო განათლებით არის 554, ხოლო ამათგან უმაღლესი განათლება აქვს 73 ადამიანს. რითაც საქართველოს ერთ-ერთი პირველი ადგილი უჭირავს არა მარტო საბჭოთა კავშირში, არამედ მსოფლიოშიც.

● მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვა ყოველთვის იყო და არის საბჭოთა სახელმწიფოს მუდმივი ზრუნვის საგანი, რანი ვიყავით ამ საქმეში და რანი ვართ?

დღეს საქართველო მკურნალების რაოდენობით მსოფლიოში პირველ ადგილზეა. ყოველ 10 ათას სულ მოსახლეზე მოდის 37 ექიმი და 91 საშუალო სამედიცინო პერსონალი. (ამერიკის შეერთებულ შტატებში მოსახლეობის ამავე რაოდენობაზე მოდის 19 ექიმი). 1913 წელს კი საქართველოში სულ 461 ექიმი ყოფილა. დღეს მათი რიცხვი 17.400 აჭარბებს. ბევრი გვყავს გამოჩენილი, სახელგანთქმული მკურნალი-მეცნიერი, რომლებსაც ყოველდღიურად შეაქვთ სიახლე ადამიანის ჯანმრთელობის დაცვის დიდად ჰუმანურ საქმეში. მრავალი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი წარმატებით მუშაობს მედიცინის აქტუალურ პრობლემების გადაჭრაზე.

● გთხოვთ ორიოდე სიტყვა გვითხრათ საქართველოს თანამედროვე ახალგაზრდობაზე.

ქართველი ახალგაზრდობა ყოველთვის პროგრესული იყო, არის და ღრმად მჯერა, რომ ამ კარგ თვისებას არასდროს დაჰკარგავს.

მამებმა კოლხეთის ჭაობიანი ველ-მინდვრები ამოაშრეს და წალკოტად აქციეს, მუშაობდნენ ხუთწლედის მშენებლობებზე და ააშენეს ინდუსტრიული რუსთავი. ქართველი ახალგაზრდობის დღევანდელმა თაობამ ააშენა მეტროპოლიტენი, აგებენ მსოფლიოში უდიდეს თაღოვან კაშხალს „ენგურჰესს“.

საქართველოს 190 სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში მეცნიერების განვითარების სხვადასხვა პრობლემაზე 10 ათასზე მეტი ახალგაზრდა მეცნიერი მუშაკი და 1.500 ასპირანტი მუშაობს.

ახალგაზრდა ქართველი მწერლები, მხატვრები, არქიტექტორები, თეატრისა და კინოს მუშაკები ახალი ნაწარმოებებით გვახარებენ.

სპორტსმენები? მარტო რომის, ტოკიოსა და მეხიკოს ოლიმპიურ ასპარეზობებზე ქართველმა ახალგაზრდობამ უფრო მეტი მედალი მოიპოვა, ვიდრე კანადის, თურქეთის, მექსიკის, ავსტრიის, არგენტინის, ესპანეთისა და ირანის სპორტსმენებმა ერთად.

განა დღეს საზოგადოებრივი მნიშვნელობის რომელიმე საქმე კეთდება ახალგაზრდობის — ჩვენი იმედის მონაწილეობის გარეშე? მათ ღრმად შეითვისეს მამა-პაპათა მიღწევები, შემოქმედებითად შეისისხლხორცეს რევოლუციური მარქსისტულ-ლენინური თეორიები და შემოქმედებითადვე იყენებენ შრომასა და სწავლაში.

● როგორ გესახებათ საზღვარგარეთთან კულტურული კავშირის მნიშვნელობა?

...უცხოეთში გამოიცა ქართველ მწერალთა ნაწარმოებები, ევროპის ქვეყნებში ეწყობა ქართველ მხატვართა გამოფენები. ქართული ხალხური ცეკვის ანსამბლი გამოდის მრავალ ქვეყანაში, ჩვენი საესტრადო ბრიგადები კონცერტებს მართავენ შორეულ ავსტრალიაში. ამგვარ ამბებს ყოველთვის სიამოვნებით ვისმენთ. გვახარებს ქართული კულტურის პოპულარობა, ვფიქრობთ ჩვენს მწერლებსა და მხატვრებს, მსახიობებსა და მუსიკალურ შემსრულებლებს — ქართული კულტურის დესპანებს უცხოეთში. ისინი ხომ კარგ სიტყვას ამტკიცებენ ხოლმე საქართველოს შესახებ სხვა ერებს. ამგვარი კულტურული ურთიერთობა ჩვენთვის კი არა, მთელი კაცობრიობისათვის არის მნიშვნელოვანი. მსოფლიოს მშრომელები დღეს მშვიდობისათვის იღვწიან და მათ შორის აუცილებლად უნდა გამოიძებნოს საერთო ენა.

● ყველა ერს აქვს მარტოოდენ მისთვის დამახასიათებელი თვისებები. რა მიგაჩნიათ ქართველის ნიშანდობლივ თვისებად?

წარსული საუკუნეების ბობოქარმა დინებამ ჩამოაყალიბა ქართველი ადამიანის ხასიათი — იგი მშვიდობისმოყვარეა და მშრომელი, მტერთან პირდაპირი, შეუპოვარი, მოყვარესთან ალალი და გულუხვი.

ქართველის ერთ-ერთ უმთავრეს ნიშანდობლივ თვისებად ის მიმაჩნია, რომ ჩვენებური კაცი ძნელად აიყრება მშობლიური მიწა-წყლიდან, ქართველის ბუნება ვერ ეგუება უცხო ქვეყანას.

● რას უსურვებდით ყველა ქართველს?

ყველა ქართველს, მშობლიურ მიწა-წყალზე იქნება იგი თუ უცხო ქვეყნებს შეხიზნული, ვუსურვებდი ჯანის სიმრთელეს, გონების სიუხვეს, კაცურ კაცობას, სამშობლოს ერთგულებას.

ყველა ქართველს ვუსურვებდი სიტყვითა და საქმით გაემართლებინოს საქართველოს საყვარული.

ჩემი საქართველო!

ვჩურჩულებ თუ ხმამაღლა წარმოვთქვამ ამ წმინდა სიტყვებს, ვიცი, საქართველო ჩემიც არის და შენიც, ყველა ქართველისა, ყველა ჭეშმარიტი მამულიშვილისა, დედაა ყველასი, ვისაც მისი მადლიანი ძუძუ უწოვია.

საქართველო მარტო ზვიადი მთები თუ გულუხვი ველ-მინდვრები როდია. საქართველო მე ვარ, შენა ხარ, ჩვენი წინაპარია, ჩვენი შთამომავალი, ჩვენი მამა-პაპის საფლავები და ჩვენი შვილიშვილების აკვნებია.

საქართველო უხსოვარ დროს ბერძენ დამპყრობთაგან მოტაცებული ქართველი ქალის მედუას ცრემლი და ტკივილიც არის და თამარის შუქმადლფენილი ქართლოსიანთა სიხარულიც, გამარჯვება დიდგორის ომისა და კრწანისთან დამარცხების სიმწარეც, ქეთევან დედოფლის მოწამებრივი სიკვდილიც და ღადაღი — „არა დავთმობ რჯულსა ჩემსა, არ ვუღალატებ ქვეყანას ჩემსას“ და ჩვენი თანამედროვე, სამამულო ომის გმირის ზოია რუხაძის სიკვდილის წინა შეძახებაც: — „რომელ ერთს მოკლავთ, უთვალავნი ვართ!“...

მართლაცდა, უთვალავმა გმირმა, ცნობილმა თუ უცნობმა, მოიტანა დღემდე ჩვენი ქვეყანა, ჩვენი ენა, ჩვენი კულტურა.

იმდენი დუშმანი მოესწრაფოდა ჩვენს სიმდიდრესა და სილამაზეს, რომ დიდ ილიას სევდით აღმოხდა:

„ქარგი რამა ხარ ჩემო ქვეყანავ,
ლამაზად მორთულ და მოკაზმული,
მაგრამ რამდენად მშვენიერი ხარ,
იმდენად უფრო მიკვდება გული!“

მაკედონელი თუ ჩინგის ყაენი, ჯელალედინი თუ თემურლენგი, შაჰ-აბასი თუ აღა-მაჰმად ხანი... ვის აღარ სურდა ჩვენი დამხობა-დამონება.

შეუდრეკელმა ნებისყოფამ, მშობლიური ქვეყნის უმაგალითო სიყვარულმა, სულმნათი წინაპრების ხაღვაწ-ნაამაგარმა, უსაზღვრო ჰუმანიზმმა, რაინდულმა სულმა და კეთილშობილებამ ბევრი მოყვარეც შესძინა ჩვენს ხალხს. ჰომეროსიდან დაწყებული, ვინ მოთვლის, მსოფლიოს რამდენმა მწერალმა უძღვნა გულწრფელი სტრიქონები საქართველოს, ქართველ ხალხს... პუშკინი, ლერმონტოვი, ლესინგი, ბალზაკი, ტარას შევჩენკო, ჰოვანეს თუმანიანი, ვაგიფი...

დღეს მაინც ვინ დათვლის ჩვენი ხალხის მეგობარს, ძმასა და ძმადნაფიცს.

მეგობრობის ამ დიდმა ძალამ გააათკეცა ჩვენი ხალხის ენერგია. მდიდარია ფანტაზიით ჩვენი ზღაპრები, მაგრამ ისინიც კი ფერმკრთალდებიან ჩვენი ხალხის ზღაპრულ შემართებასთან... რომელ ზღაპარში მოისმენთ, რომ სულ რამდენსამე წელიწადში უდაბურ ველზე ამენდა საქვეყნოდ ცნობილი ქალაქი რუსთავი. მთელი საბჭოთა ადიდებს ქართველ მუშას, კოლმეურნეს, მეცნიერსა და ხელოვანს — ყველას, ვისაც თავისი გარჯითა და მარჯვენით უშენებია ახალი საქართველო.

და მართლაც, მათ განაახლეს იბერიისა და კოლხეთის ძველთაძველი მიწა-წყალი, მათ დახაზეს ჩაის ბუჩქების ცისარტყელებით მშობლიური მთა-ბარი, ვარსკვლავებად გადააყარეს აჭარის, აფხაზეთის, სამეგრელოსა თუ გურიის გორაკებს ნარინჯ-თურინჯის ოქროს ნაყოფი. ღრუბლებად მიმოფანტეს იალაღებზე საკოლმეურნეო ფარები, ლაგამი ამოსდეს გიქმაქ მდინარეებს, ააგეს ქარხნები, ჭრობუდა ირმებივით დაჭრიან შორეულ გზებზე თბილისური ელმავლები, ჩამოასხეს ქართული თუჯი და ფოლადი. ქვეყანას მოჰფინეს ქუთაისური ავტომანქანები, თბილისური თვითმფრინავები და უნივერსალური ჩარხები.

დღეს საქართველოს მრეწველობა ამშადებს საქვეყნოდ ცნობილ ათასი სახეობის ნაწარმს, დაწყებულს ასანთის კოლოფით და დამთავრებულს ატომის იზოტოპებით.

ამას წინათ საქართველოში სტუმრად იყვნენ ცნობილი ფრანგი მწერლები პიერ გამარა, უაკ გოშრონი და საფრანგეთის გაერთიანებული გამომცემლობის დირექტორი მადლენ ბრონი, რომელთა დახმარებით პარიზში ფრანგულად ითარგმნა და დაიბეჭდა ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსების კრებული. გაეცნენ ჩვენი სტუმრები ჩვენს ყოფას, ჩვენს მიღწევებს, იყვნენ თბილისის მუზეუმებში, მეცნიერებათა აკადემიაში, სახელმწიფო უნივერსიტეტში, გაიარეს თბილისის ქუჩებში, იმოგზაურეს მსოფლიოში ყველაზე ახალი, თბილისის მშვენიერი მეტროპოლიტენით, ეწვივნენ გორსა და მცხეთას... და როცა ჯვრის მონასტრიდან გადმოხედეს მტკვრისა და არაგვის შესართავს, თან იქვე, მთის ძირში დალანდეს სვეტიცხოველი, ზაჰესი, მტკვარი და არაგვი, მოხიბლულმა უაკ გოშრონმა მითხრა: — ბედნიერია საქართველო, რომელსაც აქვს დიდი წარსული, აწმყოც და მომავალიც. ქვეყნად არიან ერები, რომელთაც აქვთ აი ის — და მიმითითა ზაჰესზე, საგუბარზე, მაგრამ არა აქვთ ჯვარი და სვეტიცხოველი... არიან ერებიც, თუმცა იშვიათად, მაგრამ არიან, რომელთაც აქვთ დაახლოებით ასეთი სიძველეები, მაგრამ მათი გონების გენია დღეს უკვე ჩამქრალა ან მოდუნებული და არა აქვთ, აი ეს — პროგრესის პირიმზე, თუ ურთულესი კიბერნეტიკული მანქანები. ქართველმა ხალხმა ბედნიერად დააშენა სიახლე თავისი კულტურის უძველეს დვრიტაზე.

იმდენად გამახარა მისმა სიტყვებმა, რომ ჩემი ძველი ლექსის სტრიქონებით ვუპასუხე, იმ ლექსისა, რომელიც ფრანგულად დაიბეჭდა სწორედ გოშრონის მიერ თარგმნილი:

...ზოგან ირმების ჯოგია,
ზოგან არწივნი ჰქრიან,
არის ასეთი ქვეყანა, —
მას საქართველო ჰქვია!

—ყველაფერი სწორედ მოგონიშნებია ამ ლექსში, მაგრამ ირმების ჯოგებისა კი რა მოგახსენო. ირმების ჯოგები კი არა, ქართველ მგოსანთა ნაქები ხოხბების გუნდებიც ვერა ვნახეო საქართველოში. ხოხობი ხომ თქვენია, აქაური. ფრანგულშიც და ევროპის ყველა ხალხის ენაზე ხოხობს „ფაზანი“ ჰქვია, რაც ფაზისურს ნიშნავს, რადგან კი... რელიგია სადის და მოდის. ერი კი ერად რჩებაო.

მართლაც, მეგობრებო, მე მგონია ანდაზა — სადაც წახვალ, იქაური ქუდი დაიხურეო, ქართული არ უნდა იყოს. ქართველ კაცს — სადაც უნდა წავიდეს, სადაც უნდა ცხოვრობდეს — თაკისი ხალხის სიყვარულის, თავისი ქვეყნის ნამუსის ქუდი ყველგან ამშვენებს.

ერთი უხეირო ლეგენდის შესახებაც მინდა გითხრათ...

ქართველის ხელები გვეტყვიან!..

მაღალ ტახტრევანზე იჯდა
მამაღმერთი,
თეთრი ღრუბლები ეფინა ბალიშებად.
მყინვარი შანდლად ედგა,
შიგ მზე სანთლად ენთო
და ხალხს ელვის კვერთხით სურვილს ანიშნებდა.

წყალობა უფლისა თურმე ყველას მისწვდა,
მიწის ყველა მკვიდრი თავისთან შეჰყარა.
გაშლილ ხელისგულზე ედო დედამიწა,
რომ კაცთა მოდგმისათვის გაეყო ქვეყანა.

მის წინ რიგში იდგნენ ზანგნი თუ არაბნი,
ფრანგნი თუ... ვინ მოთვლის, ღვთის ნებას
მინდობილთ.

ზოგს ველი არგუნა,
ზოგს მთების ქარაფი,
ზოგს ცხელი უდაბნო,
ზოგს ვრცელი მინდორი.

ზოგს მთა მოუწია,
ზოგს მთების კალთები...
უფლის განაჩენი არ იყო სადაო,
მხოლოდ ამ გრძელ რიგში არ ჩანდნენ ქართველნი
რიგი და ქართველი?! —
საიდან სადაო!

და როცა პირწმინდად დარიგდა მთა-ბარი,
გოჯიც კი მიწისა არ დარჩა უბრალოდ,
უეცრად ჩვენები, სად იყვნენ,
სად არა,
წარუდგნენ და ჰკითხეს: — ჩვენ რა ვქნათ, უფალო?

მიწის ამზომველნი სულს ძლივსღა ღაფავდნენ,
ფრიად დამაშვრალი ჩანდა თვით მეუფეც.
განცვიფრდა — ვინა ხართ, სადა ხართ აქამდე?
მთელი დედამიწა გავყავი მე უკვე.
— ქართველნი გახლავართ,
გავშალეთ ნაბდები,
შენი სადღეგრძელო თასები მოვცალეთ.
და დაგვიგვიანდა, ჰე, ღმერთო მოწყალევ...
დავლოცეთ შენს მიერ შექმნილი სამყარო,
მეუფევ მაღალო...
რადგან დედამიწა ყველას გაუყავი,
ცუდი თუ კარგი კუთხე გაეცი მთლიანად,
რა ვუყოთ... ნუ სწუხარ...
შენ კარგად იყავი,
ოღონდ დაგვიცალე ეს ერთი ფიალა.
...ალპებად,
ანდებად
თუ კავკასიონის
მთებად აიწივნენ
წარბები შეკრული.
— სად დაგაბინაოთ, არ არის იოლი,
ასეთი ლამაზნი,

(გაგრძელება მე-3 გვერდზე).

(დასასრული. დასაწყისი იხილეთ მეორე გვერდზე).

მამაცნი, ერთგულნი,
სულ ყველა გავეცი —
ბილიკიც, ჭიუხიც.
მარტო დავიტოვე პატარა წალკოტი,
იქ კალთა დავბერტყე სიტურფის,
სიუხვის,
საჩემოდ სამოთხის ხეხილით ვამკობდი.

მე ჩემთვის მინდოდა მზიური ქედები
და რადგან მიწის სხვა ნამცეციც არ არის,
ზეცაში ვიცხოვრებ, ხოლო ეს ედემი
თქვენთვის დამითმია...
დე, იყოს ალალი!..
ამინ!..

...და ასე წაბრძანდა ღმერთი ცათა შინა,
ჩვენ კი დაგვტოვა ღვთიური მთა-ბარი,
მიტომ საქართველოს რა არ გააჩნია,
ჭუხს მისი სიტურფის,
სიუხვის ამბავი.

...შეუნდოს იგივე უფალმა,
ვინც ვითომ
ქართველებს თავისი გვაჩუქა საუფლო.
ან შურდა, — ყოფილა, — ან მიეტ[illegible]ეთი,
არ ვიცი ლეგენდა ნაჩმახი სხვა უფრო.
უფალ-ღმერთს კი არა,
თუ გინდათ მართალი,
აქ კალთა ჩვენს მშობელ ხალხს დაუბერტყია
და თუ საქართველო ასეთი, რად არის,
ქართველი გლეხკაცის ხელები გვეტყვიან.

დახედეთ მის ხელებს,
დაკოჟრილს, დაშაშრულს,
ხან დამწვარს, ხან დამზრალს
მზეში თუ ყინვაში,
დახედეთ მის ხელებს,
და გსურთ თუ არა გსურთ,
ნისლივით გადნება ლეგენდა-მირაჟი.

შეხედეთ ნაჯაფარ ველ-მინდვრებს,
მთა-გორებს,
ეს ჩვენი ოფლი ჩქეფს მტკვარშიც და რიონშიც
და მითი, ლამის რომ მართალი გვეგონა,
უცებ ფასს დაკარგავს,
ვით თვალი რიონში...
შეხედეთ მზედაკრულ მეზვრეს თუ მემინდვრეს,
ან ავდრის ნაბადში გახვეულ მეცხვარეს.
შეხედე,
შეიგრძენ,
შეიცან,
შეიტყე —
რად არის ლამაზი ეს მიწა,
ეს მხარე.
შეხედე ზღვა-ჩაის,
ამ ჭალებს, იმ ველებს.
შორს კავკასიონზე მუქ-ლურჯი ბინდია,
შეხედე მოროდში ზემოურ იმერლებს —
ფრიალა ფერდობებს თოკით რომ ჰკიდიან!
მოდი და კეთილო იხილე, ყოველი,
მთამ წარბი გაგიხსნას,
ზღვამ შემოგღიმილოს.
იხილე სიონი თუ სვეტიცხოველი
ან ჯვარი —
ლაყვარდში აჭრილი მიმინო.

მოდი და შეხედე, სამთავროს, სამთავისს,
იხილე ვარძია სალ-კლდეში ნაშენი.
მაინც საქართველო ასეთი რად არი?
ან წრომი გიამბობს,
ან წურღუღაშენი...
იხილე ყინწვისი, რუისი, ურბნისი
თუ მთების უბეში შედგმული უბისა.
ამდენი ტაძარი, საყდარი ურიცხვი
იქნებ მოგვაგონებს აგარაკს უფლისას?
მაგრამ გულთმისნობა არ უნდა ძალიან,
მათში წინაპრების გაისმის გოდება,
მათში საქართველოს სისხლი და ძვალია —
ნაგები გუმბათად,
გალავნად,
გოდლებად...

მაინც საქართველო — ქვეყანა მშობელი —
ლამაზი, მდიდარი რად არის ნამდვილად?
ჰკითხეთ, ვინც კოლხეთში ჰაობი დაშრო
ან უწყლო სამგორში ვინც წყალი ადინა.

იხილე ქარხნები, ცამდე რომ ადიან,
დღედაღამ წამით რომ არ შეისვენებენ,
მუშას შეეკითხეთ, მარჯვენამადლიანს —
ახალ საქართველოს მხატვარს და მშენებელს.

ჰკითხე იმ მეშახტეს, მადანს რომ ეძიებს
და მადლი მიწისა ამოაქვს მადნებად.
რად არის ლამაზი? ჰკითხეთ იმ მეცნიერს,
შუბლზე საფიქრალი შუქად რომ ადნება.

სკებივით ზუზუნა სკოლებით იხარეთ
და ახალგაზრდებით, გულდაუდეგარით,
ტაძრები ცოდნისა იხილეთ ახალი,
იყალთოს, გელათის ბურჯებზე შემდგარი.

შეხედეთ ჩვენს სოფლებს, დაბებს თუ ქალაქებს,
ჩვენს მიერს და არა მოლოცვილს სამადლოდ
და მაშინ ამნაირ მითებს თუ არაკებს
აღარ ერწმუნებით, მერწმუნეთ, არასდროს.

...უფალ ღმერთს კი არა, თუ გინდათ მართალი,
აქ კალთა ჩვენს მშობელ ხალხს დაუბერტყია
და ოუ საქართველო სამოთხე რად არი,
დაუხედოთ — ქართველის ხელები გვეტყვიან!

იოსებ ნონეშვილი

თბილისი — საბჭოთა საქართველოს გული!



ქალაქების სიმშვენიერეზე სიტყვა რომ ჩამოვართვათ, ქართველი კაცი ამბობს — თბილისზე ლამაზი ქალაქი მსოფლიოში არ არსებობსო.

თბილისო უშენოდ სიცოცხლეც არ მინდა... მღერიან ჩვენში და მართლაც, ვინ მოთვლის მისი ბედნიერებისათვის რამდენი სიცოცხლეა გაღებული, რამდენი ოფლია დაღვრილი, რამდენი ღამეა თეთრად ნათენი. და განა გასაკვირია, ჩვენი დედაქალაქი მიგვაჩნდეს ქვეყნად უველაზე ძვირფას ქალაქად!...

ჩვენმა საუკუნემ კიდევ უფრო შეგვაყვარა მზისა და ვარდების ქალაქი, რომელსაც დღეს ისე, როგორც არასდროს, ეტყობა მზრუნველი კაცის ხელი.

ზეიმია სამშობლოს მიწა-წყალზე, საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკას 51 წელი შეუსრულდა და განვლილი გზის სიდიადეზე სათქმელს ვიწყებთ თბილისით, რომლის წარსულზე, აწმყოსა და მომავალზე გვესაუბრება თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე შოთა ბუხრაშვილი.

თბილისი მსოფლიოს ერთ-ერთი უძველესი ქალაქია. მისი დაარსება და დედაქალაქად გამოცხადების ისტორია ვახტანგ გორგასლის სახელთან არის დაკავშირებული. თუმცა თვითონ „თბილისი“ ისტორიულ წყაროებში გაცილებით ადრეა მოხსენებული. ქართლის მოქცევის ქრონიკის ავტორი გვიამბობს: ახალი წელთაღრიცხვის 368 წლის ახლო ხანებში „მოვიდა ქრამ-ხუარ-ბორზარდ, სპარსთა მეფისა და პიტიახში ტფილისად, ქალაქად — ციხედ და ქართლი მისსა ხარკსა შედგა, და სომხითი, და სივნიეთი და ვასპურაგანი“. ჩანს, ჯერ კიდევ IV საუკუნეში სპარს დამპყრობთათვის კარგად ყოფილა ცნობილი, რომ თბილისში დამკვიდრების შემდეგ არა მარტო ქართლის, მეზობელი ქვეყნების დამორჩილებაც შეიძლებოდა.

მაშ რომელი ეპოქის ანარეკლია თბილისის დაარსების შესახებ არსებული ლეგენდები, რომლებიც გვამცნობენ: თბილისის ტერიტორია უღრანი ტყით იყო დაფარული და აქ მეფეები სანადიროდ მოდიოდნენო? მარტო ლეგენდებით ამ საკითხის გადაწყვეტა შეუძლებელია. სიტყვა მივცეთ ისტორიის უტყუარ მოწმეს — არქეოლოგიას:

დღევანდელი თბილისის ტერიტორიაზე აღმოჩენილი არქეოლოგიური ძეგლებიდან ჯერჯერობით ყველაზე უძველესია საბურთალოზე ნაპოვნი კაჟის ხელშუბის პირი და კაჟისავე ლამელა. ორივე ნივთი ახალი ქვის ხანას ანუ ნეოლითის ეპოქას ეკუთვნის, როგორც ეტყობა, ჩვენი დედაქალაქის ტერიტორია უკვე ახალი ქვის ხანიდან ყოფილა დასახლებული. იმავე საბურთალოზე, საქართველოს სამხედრო გზის სიახლოვეს, აღმოჩნდა ძველი წელთაღრიცხვის IV-III ათასწლეულის ანუ ენეოლითური ხანის არქეოლოგიური ძეგლები. ამავე ეპოქის ძეგლები ნაპოვნია დიდუბეშიც, ხოლო ბოლო წლებში — დიღმის მინდორზეც. ამ ძეგლების მიხედვით დადგინდა, რომ საქმე გვაქვს ბინადარ მოსახლეობასთან, რომლის საქმიანობაში ძირითადი ადგილი ეჭირა მიწათმოქმედებასა და მესაქონლეობას, მონადირეობასა და მეთევზეობას. ჩვენი შორეული წინაპრებისათვის უცხო არ ყოფილა ავრეთვე მეთუნეობისა და ქსოვა-ბეჭვის საქმე, მეზობელ ტომებთან კავშირურთიერთობა, სამეურნეო თუ საომარი იარაღების დამზადება კაჟისა და ობსიდიანისაგან.

აკადემიკოს სიმონ ჯანაშიას აზრით, თბილისის, როგორც ქალაქის აღმოცენება-განვითარებას სხვა პირობებთან ერთად, განსაკუთრებით უწყობდა ხელს გეოგრაფიული მდებარეობა, რასაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სამხედრო-სტრატეგიული თვალსაზრისით. თბილისი მდებარეობდა გზაზე, რომელიც მტკვრის ხეობითა და აღმოსავლეთ ამიერკავკასიით საქართველოს აკავშირებდა ირანთან; მდინარის ვიწრო კლდოვანი კალაპოტი ქალაქთან საუკეთესო ადგილი იყო ხიდის ასაგებად, რომლითაც ერთმანეთს უკავშირდებოდა მტკვრის მარჯვენა და მარცხენა ნაპირი, აგრეთვე გზა მიდიოდა ჩრდილოეთ ალბანეთში (ახლანდელი აზერბაიჯანის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა); ქალაქის დასავლეთით უშუალოდ მდებარე მაღლობი და მდინარის მაღალი, კლდოვანი ნაპირი ადვილად კეტავდნენ მტკვრის გაყოლებით მომავალ გზას.


ვახტანგ მეფემ შესანიშნავად შეაფასა თბილისის ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა, ფართო სადედაქალაქო მშენებლობაც დაიწყო, მაგრამ... დამთავრება აღარ დასცალდა.

მისმა მემკვიდრემ დაჩიმ „განახორციელა ზღუდენი ტფილისისანი და ვითარც ებრძანა ვახტანგს, იგი შეიქმნა სახლად სამეუფოდ“, ძველი დედაქალაქი მცხეთა კი კათალიკოსს „მიათუალა“, საეკლესიო ცენტრად დაუტოვა.

მრავალმა საუკუნემ განვლო მას შემდეგ. 1958 წელს ქართველმა ხალხმა დიდი ზეიმით აღნიშნა თბილისის დედაქალაქობის 1500 წლისთავი.

გარდასულ საუკუნეთა თითოეულმა დღემ დაძაბულ, შემოქმედებით შრომასა და მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში განვლო. საუბედუროდ, ჩვენი დედაქალაქის ისტორიაში ომი უფრო ხშირი იყო, ვიდრე მშვიდობა. 626-627 წლიდან 1795 წლის ჩათვლით ორმოცზე მეტი ბრძოლა გადაიტანეს თბილისელებმა! მსოფლიო ისტორიაში ძნელად მოიძებნება ქალაქი, რომელსაც საუკუნეში თითქმის ოთხი შემოსევა-აოხრება განეცადოს და პირისაგან მიწისა არ აღგვილიყოს. მშობლიური ქალაქის რა დიდი სიყვარული, რაოდენ დიდი ვაჟკაცობა, ნიჭი და უნარი უნდა ჰქონოდათ ჩვენს წინაპრებს, რომ მტრისაგან აოხრებული ქალაქი კვლავ და კვლავ აღედგინათ მკვდრეთით და ერის ბურჯად ექციათ...


(გაგრძელება მე-4-5 გვერდებზე).



ძველი თბილისის მთაწმინდის უბანი.



მტკვრის ძველი...



...და ახალი ხედები.

თბილისი — საბჭოთა

(დასასრული. დასაწყისი იხილეთ მე-3 გვერდზე).

ზღაპარსა ჰგავსო თბილისის ისტორია, ზღაპარს ვაჟკაცურს, რომელშიც კეთილისა და ბოროტის სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაა ასახული. საბედნიეროდ, ამ ბრძოლაში „ბოროტსა სძლია კეთილმან, არსება მისი გრძელია“...

1801 წელს ქართლ-კახეთის სამეფო რუსეთის იმპერიას შეუერთდა, შეწყდა მტრის შემოსევები, ცხოვრება მშვიდობიან კალაპოტში ჩადგა. მოსახლეობა მომრავლდა. ზღუდე-გალავნებმა დაკარგეს პირვანდელი მნიშვნელობა. ქალაქის ცენტრმა ძველი თბილისიდან ახალ უბანში გადმოინაცვლა.

ძველი თბილისი... იგი სამი ძირითადი უბნისაგან შედგებოდა: საკუთრივ „ტფილისი“, ანუ აბანოების უბანი, ლეღვთა ხევსა (იგივე წავკისის წყალი ანუ დაბახანა) და დღევანდელი სამას არაგველთა ბაღს შორის რომ იყო მოქცეული.

მეორე უბანი კალა იყო. იგი დღევანდელი შალვა დადიანის, პუშკინისა და ბარათაშვილის ქუჩებიდან ლეღვთა ხევამდე გრძელდებოდა.

თბილისის მესამე უბანს ისანი ანუ ავლაბარი წარმოადგენდა. იგი მტკვრის მარცხენა მხარეს მდებარეობდა. ამ უბანში იდგა მეტეხის ციხე და მეტეხის ღვთისმშობლის საყდარი, იქვე მახლობლად კი XVIII საუკუნის 70-იან წლებში აგებული დარეჯან დედოფლის სასახლე — „საჩინო“. ისან-ავლაბარიც გალავნით იყო შემოზღუდული.

ძველი თბილისის ყოფა-ცხოვრება ყოველთვის გამორჩეული იყო: ვიწრო მიხვეულ-მოხვეული ქუჩები, ბაზიანი სახლები, ქარვასლები, დუქან-სახელოსნოები, აბანოები, ქართული მიწის ნაყოფით სავსე ბაზარ-მოედნები, უამრავი ადგილობრივი ნაწარმი და უცხოური საქონელი... მოძრაობა, ხმაური, ცხენთა ჭიხვინი, ურმების ჭრიალი, „ღხინის დროს ღხინი“, ზურნა-დუდუკის საამო ხმა, მოსწრებული სიტყვა-პასუხი, ჭიდაობა, ყოჩების ჭიდილი, აქლემთა ქარავნები...

ხშირი შემოსევების მიუხედავად, თბილისს მაინც დიდი რაოდენობით შერჩა კულტურის ძეგლები: დედაციხე, რომელიც თბილისთან ერთად პირველად ახალი წელთაღრიცხვის IV საუკუნის ახლო ხანებში მომხდარ ამბებთან დაკავშირებით იხსენიება, სიონის ტაძარი, რომლის მშენებლობაც VI საუკუნეში დაიწყო და VII საუკუნეში დამთავრდა, ანჩისხატის ეკლესია, რომელიც ვახტანგ გორგასლის მემკვიდრის დაჩის მეფობის დროს არის აგებული, მეტეხი — გადმოცემით აქ ვახტანგ გორგასალს აუგია ციხე და საყდარი. აქვე ყოფილა მისი სასახლეც, რაც შეეხება მეტეხის ღვთისმშობლის ტაძარს, იგი XIII საუკუნეშია აგებული. გიორგი III-ისა და თამარ მეფის დროს აქ სამეფო სასახლეც მდგარა. ტაძარი სასახლესთან ერთად დაინგრა მონღოლების შემოსევისას. 1748 წელს მეფე ერეკლემ კიდევ ერთხელ შეაკეთა მეტეხის ციხე, ხოლო ტაძარი მთლიანად აღადგინა...

1819 წელს მეტეხის თავდაცვითი ციხე-გალავანი დაანგრიეს და მის ნაცვლად საპყრობილე ააგეს, რომლის საკნებში ეწამებოდნენ ალიოშა ჯაფარიძე, მიხეილ კალინინი, მაქსიმ გორკი და სხვა ცნობილი რევოლუციონერები. ამ ციხეში მოჰკლეს ჟანდარმებმა ლადო კეცხოველი.

თბილისს დღესაც ამშვენებს ქვაშვეთის, წმინდა გიორგისა და შამადავითის ეკლესიები...

და, ბოლოს, თბილისი ხომ ქართველი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ცენტრი იყო. აქ ცხოვრობდნენ და მოღვაწეობდნენ ალექსანდრე ჭავჭავაძე და გრიბოედოვრბელიანი, ნიკოლოზ ბარათაშვილი და სოლომონ დოდაშვილი, ილია ჭავჭავაძე და აკაკი წერეთელი, ვაჟა-ფშაველა და იაკობ გოგებაშვილი, ნიკო ნიკოლაძე და ანტონ ფურცელაძე, დიმიტრი ყიფიანი და დავით ერისთავი... XIX საუკუნის მეორე ნახევარში თბილისი იქცა რევოლუციური მოძრაობის უდიდეს კერად ამიერკავკასიაში, თბილისის პროლეტარიატმა მრავალი სასახელო ფურცელი ჩაწერა ცარიზმის წინააღმდეგ ბრძოლის მატიანეში. სწორედ მათი შემართებითა და თავგანწირვით აფრიალდა თბილისის თავზე 1921 წლის 25 თებერვალს წითელი დროშა.

დაიწყო ახალი ერა ქართველი ხალხისა და მისი დედაქალაქის ისტორიაში.

ქალაქი ჩვენს თვალწინ ხელახლა დაიბადა.

1922 წლისათვის თბილისში 240 ათასი კაცი ცხოვრობდა, მისი ტერიტორია კი 2770 ჰექტარს შეადგენდა. მოუვლელი და მოუკირწყლავი ქუჩები მნახველს გულს უღონებდა. ქალაქში მხოლოდ 500 მეტრზე იყო დაგებული ასფალტი. ხუთასი ექიმის ხელი (1926 წლის მონაცემების თანახმად) ვერ სწვდებოდა ყველა ავადმყოფს. საავადმყოფოებს ერთდროულად მხოლოდ 1.200 კაცის მიღება შეეძლო.

დედაქალაქს 1887 წელს აგებული ერთადერთი წყალსადენი ჰქონდა, რომელიც მარტოოდენ მის ცენტრს ამარაგებდა. ქალაქი წელიწადში 1.300 ათას კილოვატსაათ ელექტროენერგიას იღებდა. ცენტრალური გათბობით კი მხოლოდ ათიოდე სახლი სარგებლობდა. ტრანსპორტის საშუალება იყო „კონკა“ და ეტლები.

1921-1922 სამოსწავლო წელს უნივერსიტეტში 300 სტუდენტი სწავლობდა, ზოგად-საგანმანათლებლო სკოლებში 26 ათასი მოსწავლე უჯდა მერხს. რაც შეეხება ტექნიკუმსა და საშუალო სპეციალურ სასწავლებელს, მათი მსმენელთა რიცხვი ორასს ძლივს აღწევდა.

1970 წლის აღწერით თბილისში 930 ათასი კაცი ცხოვრობს. მისი ტერიტორია გადაჭიმულია 26.070 ჰექტარზე. თბილისელთა ჯანმრთელობის სადარაჯოზე 10 ათასამდე ექიმი დგას, ქალაქში 54 საავადმყოფო და 143 პოლიკლინიკა მოქმედებს. პირველ სექტემბერს სკოლის კარები 171 ათასმა მოსწავლემ შეაღო, ტექნიკუმებსა და საშუალო სპეციალურ სახსწავლებლებში მერხებს 20.529 ჭაბუკი და ქალიშვილი მიუჯდა.

თბილისის 11 უმაღლეს სასწავლებელში ამჟამად 67.765 სტუდენტი ისმენს ლექციებს. 120 სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებსა და დაწესებულებებში 16.226 მეცნიერი მოღვაწეობს. ჩვენი სიამაყეა საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, რომლის 34 სამეცნიერო-კვლევითს ინსტიტუტში მსოფლიო სახელის მქონე მეცნიერები მოღვაწეობენ.

თბილისში ძნელად ნახავთ ქუჩას, ასფალტით არ იყოს დაფარული. საქალაქო ტრანსპორტს, რომელსაც ამ რამდენიმე წლის წინათ მეტროპოლიტენიც მიემატა, ყოველდღიურად 1.200 ათასი მგზავრი გადაჰყავს. თბილისი ყოველწლიურად მილიარდ 300 ათას კილოვატელექტროენერგიას იღებს, ცენტრალური გათბობით კი უზრუნველყოფილია ქალაქის ნაგებობათა თითქმის 80 პროცენტი. თუ ოციან წლებში ქალაქი წამში 164 ლიტრ მტკვრის წყალს იღებდა, დღეს ყოველ წამში 9.000 ლიტრამდე ნატახტრის, ბულაჩაურისა და სამგორის ანკარა წყლით მარაგდება.

ადრე თბილისში სულ 3 თეატრი იყო, დღეს კი თბილისელებს 9 თეატრი, 23 კლუბი, 75 კინოთეატრი, 16 მუზეუმი, 102 ბიბლიოთეკა და 20 მუსიკალური სასწავლებელი ემსახურება.

1913 წელთან შედარებით თბილისის სამრეწველო სიმძლავრე 123-ჯერ გაიზარდა. დედაქალაქის მშრომელთა ნახელავი მსოფლიოს 50 სახელმწიფოში იგზავნება და, როგორც წესი, მოწონებას იმსახურებს...

მსგავსი მაგალითების ჩამოთვლა უსასრულოდ შეიძლება, მაგრამ მკითხველს დედაქალაქის ფერისცვალებას ცალკეული რაიონების, მოედნების, გამზირებისა და ქუჩების მაგალითზე გავაცნობთ შეძლებისდაგვარად.

გაშენდა და ქალაქის განუყრელ ნაწილად იქცა ვაკისა და საბურთალოს, დიღმისა და ვარკეთილის ტრიალი მინდვრები. ნავთლუღის, ნაძალადევის, ღრმაღელეს, ავჭალის გამზირებსა თუ განიერ ქუჩებს გემოვნებით ნაგები სახლები და სასახლეები ამშვენებენ... ვინც თბილისში უკანასკნელი 2-3 ათეული წლის მანძილზე არ ყოფილა, მის ცენტრსა და შემოგარენს ვეღარ იცნობს.

რუსთაველის გამზირი, რომელიც ადრე გოლოვინის პროსპექტად იწოდებოდა, თბილისელთა ყველაზე საყვარელი ქუჩა, სათავეს ლენინის (ყოფილი ერევნის) მოედნიდან იღებს, მოედანს დიდი ბელადის ლენინის ძეგლი ამშვენებს. „ცეკავშირის“ ახალმა მრავალსართულიანმა შენობამ განსაკუთრებული საზეიმო იერი შემატა მოედანს. გამზირის დასაწყისში აგებულია ლამაზი ექვსსართულიანი საცხოვრებელი სახლი. ამ შენობის პირდაპირ მეტროს სადგური „ლენინის მოედანია“, რომლის ახლოს მრავალსართულიანი ცენტრალური უნივერმაღი და გრიბოედოვის სახელობის თეატრი შენდება.

გამზირის სიღრმეში, ყოფილ სამხედრო საკრებულო ტაძრის ადგილზე, აღმართულია საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობის სახლი. მის მოპირდაპირე მხარეს კი რუსთაველის სახელობის კინოთეატრია.


გამზირის მშვენებაა მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალი, რომლის გვერდით ცენტრალური ტელეგრაფის სახლი შენდება. ასეოდე მეტრის იქით კი, სანდრო ინაშვილის ქუჩის კუთხეში, სადაც ადრე დრომოჭმული ქოხმახები გადაჰყურებდნენ მტკვარს, დღეს ამაყად აღმართულა 22-სართულიანი სასტუმრო „ივერია“.

მოედანს, რომელიც შოთა რუსთაველის სახელს ატარებს და რომელზეც სწორედაც მგოსნის ძეგლია აგებული, ჰარმონიულად შეერწყო მეტროპოლიტენის სადგური „რუსთაველი“.


ახალი შენობებით დამშვენდა ლენინის ქუჩაც. გამორჩეული კი მაინც საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის საკონცერტო დარბაზია, რომელიც მელიქიშვილისა და ლენინის ქუჩების გასაყართან გადაეცათ თბილისელებს. თვალს იტაცებს გამომცემლობის შენობა, სადაც თავმოყრილია რესპუბლიკური ჟურნალ-გაზეთების რედაქციების უმეტესობა. ლენინის ქუჩის მშვენებაა საქართველოს ტელესტუდიის ნატიფად ნაგები სასახლე.

თერთმეტსართულიან სახლს, რომელიც ომის წინა წლებში ფოსტალიონმა უმისამართოდ — „თერთმეტსართულიანად“ — იცოდა, მხარს უმშვენებს მტკვარზე გადებულ ჩელიუსკინელების ხიდთან მისადგომად გაჭრილი მთის ნაკვეთზე აღმართული ცირკის შენობა. მოედნის მარცხენა კუთხეში, მდინარე ვერას გასწვრივ 1927 წელს გაშენდა ზოოლოგიური პარკი. გმირთა მოედანს განუმეორებელ იერს აძლევს ბეტონში ჩამჯდარ ვარაზისხევზე აჭიმული ქუჩა, ვაკეს ქალაქის ამ ნაწილთან რომ აკავშირებს.

საბურთალო ...ადრე მართლაც საბურთალო მინდვრები, დღეს ორჯონიკიძის სახელობის მოედნით იწყება. მოედნის ანსამბლს აშშვენებს სპორტის თაღოვანი სასახლე. 10 ათასი მაყურებელი



ძველი თბილისის ქუჩა



რუსთაველის გამზირი

ხშირად არის მოწმე სახელგანთქმული ფალავნების, კალათბურთელებისა თუ ხელბურთელების სპორტული ჭიდილისა... აქვეა პოლიტექნიკური ინსტიტუტის სასწავლო კორპუსები, ლენინისა და პეკინის ქუჩის გასაყართან კი მალე დამთავრდება 20-სართულიანი სასტუმროს მშენებლობა.

საბურთალოს სიამაყეა გამზირი, რომელიც ვაჟა-ფშაველას სახელს ატარებს. სახელმწიფო არქივის გემოვნებით ნაგები შენობა, სამედიცინო ინსტიტუტის სასწავლო კორპუსები, კიბერნეტიკის ინსტიტუტი, რესპუბლიკური საავადმყოფო, რომელიც 1.100 ავადმყოფისათვის არის განკუთვნილი, სასტუმრო „აფხაზეთი“ და საცხოვრებელი სახლები — აი ამ გამზირის სადარბაზო ბარათი. გამზირის ბოლოს კი, იქ, სადაც წყნეთელების სახნავ-სათესი მინდვრები იყო, უკვე აღმართულია უნივერსიტეტის 14-სართულიანი ახალი კორპუსი, რომელიც პირმშოა თბილისის უნივერსიტეტის ახლად დაფუძნებული კომპლექსისა...

თუ საბურთალოსთვის ვაჟა-ფშაველას გამზირია უპირველესი ლაზათი, ვაკის მშვენება ილია ჭავჭავაძის სახელს ატარებს; გამზირის სიგრძე 4 კილომეტრს აღწევს. სახელმწიფო უნივერსიტეტის ძველი თეთრი შენობის გარდა, ამ ქუჩაზე მდებარეობს საქართველოს პუშკინის სახელობის პედაგოგიური, ილია ჭავჭავაძის სახელობის უცხო ენებისა და ფიზიკური კულტურის ინსტიტუტები. გამზირს აგვირგვინებს 180-ჰექტარიანი პარკი და „ჭარიწმახალას“ სტადიონი. ვაკის პარკთანვე, კუს ტბის მისადგომებთან, შენდება ეთნოგრაფიული მუზეუმი, რომლის ტერიტორიაზე თავს მოიყრის საქართველოს ყველა კუთხიდან ეროვნული სახლების საგულდაგულოდ ჩამოტანილი ნიმუშები. თვით ძველი კუს ტბაც სადღაა! დამშვენდა, გაიწმინდა, გზებითა და საბაგირო გონდოლებით დაუკავშირდა დედაქალაქის ამ რაიონს, ახალგაზრდობის საყვარელ დასასვენებელ ადგილად იქცა, ისევე, როგორც საბურთალოს თავზე მოქცეული ღრუბლის ტბა...

ძველ ვაკესა და საბურთალოს ვეებერთელა მთა ჰკვეთდა, თბილისელების მარჯვენამ ის მთა შუაზე გაჭრა და ქალაქის ეს ორი უბანი დააკავშირა ახალი კეკლუცი ხიდივით, რომელიც გურამიშვილის სახელს ატარებს.


1921 წელს თბილისის სადგურიდან გამგზავრებული კაცი ვეღარც კი იცნობს ვაგზლის მოედანს. მრავალსართულიან საცხოვრებელი სახლებს გვერდში ამოუდგა თბილისის მეტროპოლიტენის სამმართველოს სახლი, სასტუმრო „კოლხეთი“...

თანამედროვე იერი მიეცა შაუმიანის მოედანს. რვასართულიანი საცხოვრებელი სახლი და მეტროს სადგური „26 კომისარი“ მნახველის გულს ახარებს და თვალს აამებს.

მოდუდუნე მტკვარი, რომლის ნაპირებს ადრე ნაგვის დასაყრელად იყენებდნენ, დღეს რკინა-ბეტონის კალაპოტში მოქცეულა და ზედ თანამედროვე კატარღები დასრიალებენ. ძველი ხიდები, რომლებიც მე-20 საუკუნის თანამედროვე ქალაქს ვეღარ ადგებოდა, დავანგრიეთ და ახალი, თანამედროვე ხიდებით შევცვალეთ, ადრინდელებს ახლებიც დავუმატეთ და მომავალშიც ბევრს ავაგებთ. მტკვრის ნაპირები კი ბაღნარად იქცა. „სამგორში ფესვი გაიდგი, დიღმის მინდვრებზე გახვედი“... ვეღარ იცნობთ დიღმის მინდვრებს, იქ დიღმის საცხოვრებელი მასივია ვეება სახლებით დამშვენებული, რასაც ელფერს მატებს თბილისის კინოსტუდიის დაბა-ქალაქი, სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის კეთილად ნაგები კორპუსები, რომლის განაყოფი — ზოოვეტერინარული ინსტიტუტი ქალაქის მეორე მხრიდან — ფონიჭალიდან ეხმიანება თავის მშობელს...

ბედნიერი ქალაქისათვის ბუნებას ერთი სიკეთე დაეკლო — ზღვა არ გვქონდა. დედაქალაქი ამითაც შეგვამკო. მისი ჩრდილოეთით, ავლაბრის ტბების რაიონში, სამგორისეულ ტაფობში, კოლოებისა და უხსენებელთა საბუდარ ადგილას ივრის წყალი დაუშვა ქართველი კაცის მარჯვენამ — „თბილისის ზღვა“ შექმნა. ნავებით, კატარღებით, გემებით, რესტორნებითა და კემპინგებით დამშვენებული სანაპიროები მოუწყო „თბილისის ზღვამ“ ჩვენს ახალგაზრდობას. თბილისის ზღვაში უხვად მოშენდა კალმახი და ხრამული, კობრი და შამაია. დღეს მის მწვანეში ჩაფლული მიდამო მარტო დასასვენებელი ადგილი როდია, ბევრმა მშრომელმა მის ნაპირებზეც სიამოვნებით დაიდო ბინა.

ახალს რომ გაშენებდით, მემკვიდრეობით მიღებულს, მოსავლელსა და გასაფრთხილებელს ხელუხლებლად ვტოვებდით. ამიტომ არის, რომ ჩვენმა დედაქალაქმა, მისმა ძველმა უბნებმა შეინარჩუნა ის ეგზოტიკური სახე, რითაც თბილისი მსოფლიოს სხვა ქალაქებისაგან გამოირჩევა.



ძველი თბილისის ქუჩა-განდეგი, დღესაც რომ შემორჩენენ ჩვენს დედაქალაქს

საქართველოს გული!

რამდენიმე სიტყვა დედაქალაქის მომავალზე.

1980 წლისათვის თბილისის მოსახლეობა 1.100 ათას კაცს მიაღწევს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ჩვენი საბინაო მშენებლობა, რის შედეგადაც 1921 წელთან შედარებით უკვე ორი თბილისი აშენდა, კვლავ პირველ პრობლემად რჩება. გენერალური გეგმის თანახმად 1980 წელს საექსპლუატაციოდ გადავცემთ 5,3 მილიონ კვადრატულ მეტრ საცხოვრებელ ფართობს და თითოეულ თბილისელს 9,5 კვადრატული მეტრი კეთილმოწყობილი საცხოვრებელი ფართობი ექნება.

ქალაქი ძირითადად „თბილისის ზღვის“ მიმართულებით გაიზრდება, ცენტრიც იქით გადაინაცვლებს. უახლესი ათწლეულის მანძილზე მწვანეში ჩაფლული ზღვის შემოგარენში 350 ათასი კაცი იცხოვრებს.

სახეს იცვლიან თბილისის დღევანდელი მოედნები და გამზირები. ლენინის მოედნის რეკონსტრუქცია, პირველ რიგში, მის გაფართოებას ითვალისწინებს. საქალაქო საბჭოს აღმასკომის ახალი შენობა უფრო ღრმად შეიწევა, მოედანს შეემატება რამდენიმე ლაზათიანი სახლი. გაფართოვდება რუსთაველის მოედანი. მგოსნის ძეგლი გამზირსა და ელბაქიძის დაღმართს შორის აღიმართება. გაიშლება მარჯანიშვილის ქუჩა. ელბაქიძის ხიდთან პლეხანოვის გამზირამდე ეს ვიწრო ქუჩა გაფართოვდება, ავიღებთ 7,5 ათასი კვადრატული მეტრი ფართობის საცხოვრებელ სახლებს, მაგრამ იქვე ორჯერ მეტს ავაშენებთ, პლეხანოვის გამზირს დაამშვენებს მოზარდ მაყურებელთა თეატრის ახალი შენობა...

კიდევ უფრო გალამაზდება ძველი დიდუბის დღევანდელი მშვენება — აკაკი წერეთლის გამზირი. ამ რაიონში ძირითადად 9-სართულიანი სახლები აიგება. ვახუშტის ქუჩის გაგრძელებაზე შენდება ერთ-ერთი უნიკალური ხიდი, საბურთალოს დიდუბესთან რომ დააკავშირებს. ხოშარაულის ქუჩაზე კი, რომელიც მტკვრის მარცხენა სანაპიროზე მდებარეობს, ძირითადად 18-20-სართულიანი სახლები აღიმართება.

ბევრი ცვლილებაა მოსალოდნელი ადრე ნაძალადევად წოდებულ ჭოხმახების უბანში, რომელიც დღეს დიდი ლენინის სახელს ატარებს. აქ ქალაქის სამრეწველო საწარმოებია თავმოყრილი. მუშებისათვის ავაშენებთ კიდევ ბევრ მრავალსართულიან კეთილმოწყობილ სახლებს, მათი შვილებისათვის — სკოლებს. საბავშვო ბაღებსა და სპორტულ კომპლექსებს.

1980 წლის დამდეგს თბილისის სკოლებში სწავლება მხოლოდ ერთცვლიანი იქნება.

მიკრორაიონი, რომელიც ელმავალსაშენებელი ქარხნიდან „თბილისის ზღვამდე“ გადაიჭიმება, ქალაქის ერთ-ერთი ყველაზე კეთილმოწყობილი, მწვანეში ჩაფლული უბანი იქნება.

უკვე დღეს ტრანსპორტისათვის ძალზე ვიწროა თბილისის ქუჩები. გაშენდება ახალი ქუჩები და გამზირები. 2000 წლამდე მტკვარზე 8 ახალი ხიდი გაიდება, ხიდი გადაკვეთს „თბილისის ზღვასაც“, ქალაქში მოეწყობა 8 ესტაკადა. მოძრაობა გაიხსნება 8 გვირაბში, რომელთა საერთო სიგრძე 3 კილომეტრს გადააჭარბებს. გაჩნდება მეტროპოლიტენის ახალი სადგურები. არსებულ საბაგირო გზებს კიდევ რამდენიმე შეემატება, რომელთაგან ერთი დააკავშირებს საბურთალოს ლისის ტბასთან. მეორე კი თბილისელებს რამდენიმე წუთში აიყვანს წყნეთში. დღის წესრიგშია თბილისის ვაგზლის რეკონსტრუქცია.

ახალი ფაბრიკა-ქარხნების მშენებლობა თბილისში მნიშვნელოვნად შენელდება. პროდუქციის მატება ძირითადად ზოზდება თანამედროვე ტექნიკის დანერგვითა და შრომის ნაყოფიერების ზრდით. ქარხნებს, რომლებიც ქალაქის სისუფთავეს ხელს უშლიან; ქალაქის გარეუბნებში გადავიტანთ.


აშენდება ბევრი ახალი სპორტული კომპლექსი. „დინამოს“ სტადიონი, რომლის რეკონსტრუქციაც უკვე მიმდინარეობს, 75 ათას მაყურებელს მიიღებს. შენდება ველოტრეკი 10 ათასი მაყურებლისათვის. სანაპიროზე მოეწყობა საცურავი აუზი, რომლის ტრიბუნები 7 ათას სპორტისმოყვარულს დაიტევს...

თბილისს გარს შემოერტყმის მწვანე ზოლი, რომლის სიგანე 5-10 კილომეტრი იქნება და დედაქალაქის მკვიდრთა დასასვენებელ ადგილად იქცევა.


ვეღარ იცნობთ, წყნეთს, კიკეთს, კოჯორს, ოქროყანას, კრწანისს, შინდისს, ტაბახმელას, მანგლისს — კაცის მარჯვენის მხნე გარჯას სიუხვე, სიკეთე დაუბერტყავს თბილისის შემოგარენში და კვლავაც ბევრს დაბერტყავს.

ერთ წერილში შეუძლებელია ამოწურო თბილისის წარსული, აწმყო და მომავალი. ნათქვამია, თვალით ნანახი ყველაფერს სჯობიაო, და აკი ნარიყალას თავზე აღმართული „ქართველის დედა“ კეთილ სტუმრებს სავსე ფიალას სთავაზობს კიდეც... მობრძანდით, გელით, დია გულით — ეპატიჟება თბილისი მეგობარსა და მოკეთეს...


თბილისს რომ თბილისი არ ერქვას, „მოდი მნახე“ მოუხდებოდა სახელად! თქვენ კი, ჩვენო თანამემამულენო, მოდით და კვლავაც თბილისად ნახეთ ყველა ქართველი მამულიშვილის ჭეშმარიტად საამაყო დედაქალაქი!



ქალაქის მშვენება — სასტუმრო „ივერია“



მტკვრის ძველი და ახალი სანაპირო



ჩემ თვალწინ

„შემოვადექით ჯვრის აღმართსა, ამოვედით პატარა სოფელში. მე ტფილისი მეგონა. შევეკითხე თანამგზავრს. — ეს პატარა სოფელი ვერაა, — მიპასუხა თანამგზავრმა. ამ სოფელს ზედ აბია ქალაქი. აჰა-იქ კალოები იყო, სიმინდიც გაერჩიათ და ძარებში ჰყრიდნენ“. — გადმოგვცემს მწერალი სოფრომ მგალობლიშვილი იმ შთაბეჭდილებას, რაც თბილისში ჩამოსვლის დროს მიუღია 1867 წელს.

ვერაზე კალოები?

ესლა ეს წარმოუდგენელია.

აქ ხომ ქალაქის ძალიან მჭიდროდ დასახლებული უბანია.

მაგრამ მაშინ ისე ყოფილა, როცა სოფრომ მგალობლიშვილი თბილისში ჩამოსულა ასი წლის წინათ.

მე რომ ორმოცდახუთი წლის წინათ ჩამოვედი, მაშინ?

მაშინ თბილისი ქალაქური დასახლებით ვარაზის ხევამდე აღწევდა. ხევის გაღმა იდგა ჩვენი უნივერსიტეტი. ტრამვაიც იქამდე მიდიოდა, მერე კი კვლავ ბრუნდებოდა ქალაქში.

უნივერსიტეტის შემდეგ დიდ მანძილზე გადაჭიმული იყო ვაკე ფართობი და სახელიც ვაკე ერქვა. ამ ვაკეში ცხოვრობდა ხალხი, მაგრამ ცხოვრობდნენ ისე, როგორც სოფელში. ხნავდნენ, თესავდნენ პურს, სიმინდს. აქაც მკიდნენ, ლეწავდნენ, ტეხდნენ, არჩევდნენ ჰყავდათ საქონელი: ხარები, ძროხები, ცხვარი. დილაობით ვაკის სხვადასხვა უბნიდან რამდენიმე წყვილად გამოჰყავდათ ხოლმე ნახირი. აძოვებდნენ მთის ფერდობებზე, მდინარე ვერის სანაპირო ადგილებში.

ვაკეში მცხოვრებთ გზაც არ ჰქონდათ ხვირიანი, რომ მოწვიმდა, ისე ატალახდებოდა, გავლა შეუძლებელი ხდებოდა. ამ ტალახის გადაზელვა ოციანი წლების მეორე ნახევრის სტუდენტებსაც გვერგო წილად.

ქალაქის ამ უბანს დღესაც ვაკეს ეძახიან. მაგრამ ეს ის ტალახიანი სოფელი როდია. მთელ ვაკეს სიგრძეზე გასდევს ილია ჭავჭავაძის გამზირი. უბანი თავიდან ბოლომდე დაქსელილია ქუჩებით. იმ ადგილზე, სადაც ავტორის ქარხნები იყო, დგას პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტი. ამავე ვაკეშია უნივერსიტეტის რამდენიმე კორპუსი, უცხო ენათა და ფიზკულტურის ინსტიტუტები, საშუალო სკოლები, ტექნიკუმები, მრავალსართულიანი სახლები.

ვინც დღეს ვაკეში პირველად შემოდგამს ფეხს, განა მას კი არ გაუკვირდება, რომ უთხრან: აქ ორმოციოდე წლის წინათ ხნავდნენ და თესავდნენო.

საბურთალოც ჩვენს თვალწინ გახდა ქალაქის ნაწილი. მისი მკვლევ ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის პირველი კორპუსი იყო. შემდეგ გადაიჭიმა ქალაქის უდიდესი და უმშვენიერესი ნაწილი, რასაც კოხტად შერწყმია ვაჟა-ფშაველას გამზირი. ბოლოში დგას უნივერსიტეტის ახალი მრავალსართულიანი კორპუსები. აქაც სულ ცოტა ხნის წინათ ხნავდნენ და თესავდნენ.

ვაკე და საბურთალო მდინარე ვერით იყო გაყოფილი. მდინარის მარცხენა ნაპირზე აღმართული იყო კლდღვანი მთა. ვაკიდან რომ საბურთალოში მოხვედრილიყო კაცი, ჯერ ქალაქის ცენტრში უნდა ჩასულიყო, ვაკიდან იქ მისვლა მხოლოდ ცენტრიდან შემოვლით შეიძლებოდა. ამ ორ დიდ უბანს შორის მიმოსვლის სირთულე მას შემდეგ გაადვილდა, რაც მათი გამყოფი მთა გაიჭრა და ვაკე საბურთალოს ღაუკავშირდა დავით გურამიშვილის ფართო ხეივნიანი მაგისტრალით.

კიდევ ერთი საუკუნის წინანდელი აღწერილობა.

„მუშტაიდიდან (დღევანდელი ორჯონიკიძის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკი) იწყებოდა სოფელი დიდუბე. აქაც ხვნა-თესვა იყო გაჩაღებული“. — წერს იგივე სოფრომ მგალობლიშვილი. ესლა ამ უბანში წარმოუდგენელია ხვნა-თესვა. დიდუბეს თავიდან ბოლომდე მიჰყვება აკაკი წერეთლის სახელობის განიერი გამზირი.

მაგრამ დიდუბის იქით, მტკვარს გაღმა?

იქ ხომ რამდენიმე წლის წინათ დიღმის მინდორი იყო, ერთიმეორეს მისდევდა ბაღჩა-ბაღები.

დღეს?

თბილისმა აქეთაც გაშალა ფრთა. ეს მინდორიც ახალი ქუჩებით დაიქსელა. მრავალსართულიან სახლებს ვინ დაითვლის. ამ უბანშია თბილისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი, სკოლები, კინოთეატრი, კლუბი და მრავალი დაწესებულება.

თბილისი ესკ სწრაფად მიიწევს წინ არა მარტო იმ უბნებისაკენ, რომლებიც დავასახელე, არამედ ყოველი მიმართულებით, აღმოსავლეთით კრწანისს გასცდა, დასავლეთით ავჭალამდეა, ჩრდილოეთით — სამგორამდე, სადაც ესოდენ საამოდ ლივლივებს თბილისის ზღვა.

...თბილისში ჩამოვედი 1926 წელს. იმ ხანებში მოეწყო თბილისის მოსახლეობის აღწერა, რომელშიც მეც ვმონაწილეობდი. მაშინ ჩვენს დედაქალაქში 250 ათასამდე მცხოვრები აღირიცხა. ბევრი ჭირ-ვარამის მნახველი ქალაქი ძლივს გაზრდილიყო ამოდენა თხუთმეტი საუკუნის მანძილზე. დღეს კი, ჩვენს დროში როცა ჯერ ერთი თაობაც არ წასულა, მცხოვრებთა რაოდენობამ 930 ათასს გადააჭარბა.

დიდება შენ, ჩვენო თბილისო!

ლავრენტი ჭიჭინაძე



სტუმრის მაღლობა

სასტუმრო „თბილისის“ წყნარი ნომერი. ქართულ ჰოტელში თურქი კაცი მმასაინძლობს.

— რა უფრო გესიამოვნებათ, ჩაი თუ ღიმონათი? — მეკითხება და სავარძელს მოხერხებულად მიმარჯვებს, სტუმართმოყვარე ქართველს თურქული სტუმართმოყვარეობით მინდა ვუპასუხოო.

სანამ ბატონი ჰამზა „დიასახლისობს“, მისი მეუღლე ქალბატონი ბახთავარი ინტერესს იჩენს ფოტოაპარატისადმი. სწორედ დღეს უყიდია საბჭოური აპარატი და გულით სწადია ისწავლოს გადაღების ყოველი წვრილმანი, რაც, ცოტა არ იყოს, ძნელი საქმეა, თუნდაც იმიტომ, რომ ქალბატონმა ერთი სიტყვა არ იცის ქართული, ჩვენი ფოტორეპორტიორი კი თავის მხრივ „წარმატებით“ ფლობს თურქულს. და მაინც როგორღაც უგებენ ერთმანეთს — არის ხელებით „ლაპარაკი“, მინიშნება.

ბატონი ჰამზა კარაბ-ოღლი ბედნიერი კაცის ღიმილით შესცქერის მეუღლის გატაცებას, თან ჩემთან დაწყებულ საუბარს განაგრძობს:

— საქართველოში მესამედ ამ სამიოდე თვის წინათ ჩამოვედი. ადრე ყოფილხართო მეკითხებით? დიახ, გახლდით სამსახურებრივ საქმეებზე, მეც შემაქვს ჩემი მცირედი წვლილი ჩვენს ქვეყნებს შორის სავაჭრო ურთიერთობის განვითარებაში. ჰოდა, სამი თვის წინათ ჩამოვედი-მეთქი. ძალზე შემაწუხა თვალის ტკივილმა. აქაურმა მეგობრებმა, — მოგეხსენებათ, შეუძლებელია თბილისში ჩამოხვიდე და მეგობარი არ შეიძინო, — მირჩიეს, ექიმისათვის მიმემართა. სიმართლე გითხრათ, პირველად ვმერყეობდი — ჩვენში ექიმობა ძალზე დიდ ხარჯებთან არის დაკავშირებული... მაგრამ საბჭოთა საქართველოში, როგორც მეუბნებოდნენ და როგორც თვითონაც დავრწმუნდი, მკურნალობა ავადმყოფს გროშიც არ უჯდება. თვალის კლინიკაში მიმიყვანეს. ძალიან გთხოვთ, კარგად ჩაიწეროთ ამ კლინიკის მთავარი ექიმის სახელი და გვარი — გივი თოფურია. ვთხოვე გავესინჯე და პირდაპირ ეთქვა, აუცილებელი იყო თუ არა ოპერაცია. ბატონმა გივიმ ისეთი ყურადღებით გამისინჯა, რომ უკეთესის წარმოდგენა შეუძლებელია. ოპერაციის გაკეთება აუცილებელიაო, დაუყოვნებლივ. მის სიტყვებში, გულისხმიერებაში იმდენი სითბო და სიკეთე ვიგრძენი, რომ მაშინვე დავთანხმდი...

ოპერაცია თვითონ ბატონმა გივიმ გამიკეთა. ცალკე ოთახი გამომიყო და 21 დღეს ვიწექი საავადმყოფოში. მეუღლე თავზე მედგა. იქ ყოფნის ყოველი დღე ჩემთვის ჭეშმარიტი აღმოჩენა იყო. თუ თავდაპირველად მეგონა, რომ ჩემს მიმართ განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენდნენ, რადგან უცხოელი ვიყავი, საავადმყოფოში გატარებულმა დღეებმა ეს წარმოდგენა გამიქარწყლეს. თითოეული ავადმყოფი იქ ისეთივე ყურადღებით იყო გარემოცული, როგორც მე. ჩემს იქ ყოფნაში არ ყოფილა, საავადმყოფოდან რომ ვინმე უკმაყოფილო წასულიყოს. მთავარი ექიმი გივი თოფურია და მთელი მედპერსონალი გასაოცარ ყურადღებასა და გულისხმიერებას იჩენდნენ თითოეული ადამიანის სატკივრისადმი და ყველაფერს აკეთებდნენ იმისათვის, რომ რაც შეიძლება მეტ ადამიანს კვლავ დაენახა მზე... როგორ ვწუხვარ, საშუალება არა მაქვს თურქულად დავწერო თქვენი გაზეთისთვის ჩემი მადლობა! ბოდიში არ გეწყინოთ, და მეშინია, ქართულ თარგმანში რაღაც არ მოაკლდეს იმ დიდ სიყვარულსა და მოწიწებას, რასაც ქართველი ექიმების მიმართ ვგრძნობ. რომ შეიძლებოდეს, დაუსრულებლად ვაქებდი და ვადიდებდი მათ მარჯვენას.

თავს როგორ ვგრძნობ? თითქოს არასდროს მტკივებია თვალი, თითქოს არასდროს ვყოფილვარ ავად და არასოდეს მომძალებია შავი ფიქრები უსინათლო სიცოცხლეზე...


თბილისი მომწონს? რა შეკითხვაა... მომწონს კი არა, მიყვარს როგორც ახლობელი. გულით ვხარობ, რომ კიდევ მომიხდება თქვენს ქალაქში ჩამოსვლა. იცით, აქ ნათესავებიც მყავს, მარნეულში. რამდენიმე ხანი მათთან ვცხოვრობდი. ძალიან კმაყოფილი ვარ მათი მასპინძლობით. მომწონს და მაოცებს თქვენი ცხოვრების დონე...

— დიდად დავალებული ვართ თქვენგან, რომ დაგვეხმარეთ გაზეთის საშუალებით მადლობა გვეთქვა ბატონ გივი თოფურიასათვის და კლინიკის მთელი მედპერსონალისათვის, — მეუბნება ქალბატონი ბახთავარი. — რა უნდა მოგვართვათ გასამრჯელოდ?

ღიმილით ავუხსენი, რომ გასამრჯელო საჭირო არ არის. ჩვენს პრესაში ყოველი წერილი უსასყიდლოდ იბეჭდება, პირიქით, ავტორს ჰონორარი ეკუთვნის. გაოცებული ქალბატონი ბახთავარი მეუბნება, ჩვენში ამისათვის აუცილებლად ფულს გადაგვახდევინებდნენო. აი კიდევ ერთი ალმოჩენა საბჭოთა საქართველოში!

ბატონი ჰამზა კარაბ-ოღლი და მისი მეუღლე ბახთავარი ორიოდე დღის წინათ გაემგზავრნენ თბილისიდან. წასვლის წინ ბატონმა ჰამზამ ჩვენი მკითხველებისადმი გადმომცა კეთილი სურვილები და ეს ბარათი, რომელსაც სიამოვნებით ვაქვეყნებთ.

ლია მიქაძე



„ოპერაციამ, რომელიც მთავარი ექიმის ნაზმა ხელებმა გამიკეთეს, უდიდესი წარმატებით ჩაიარა.

მე და ჩემი მეუღლე ძალზე დიდ მადლობას გამოვთქვამთ ჩემს ოპერაციაში მონაწილე ექიმებისა და მათი კოლეგების, აგრეთვე ავადმყოფთა მომვლელების მიმართ ჩვენდამი გაწეული კარგი დამოკიდებულებისათვის.

ჰამზა კარაბ-ოღლი“

V საკავშირო

22 თებერვალს ჩვენი დედაქალაქის სახელმწიფო ფილარმონიის დიდ დარბაზში საზეიმოდ გაიხსნა V სრულიად საკავშირო კინოფესტივალი — საბჭოთა კინემატოგრაფიის ბოლო ორი წლის ყველაზე საყურადღებო ნაწარმოებთა დათვალიერება.

ფესტივალის საორგანიზაციო კომიტეტი, ქალაქის საზოგადოებრიობა, შემოქმედებითი კავშირები, ქართული კინოს მუშაკები დიდი პასუხისგებით მოემზადნენ ამ ფესტივალისათვის. შედგა რეპერტუარი, დაიბეჭდა სპეციალური ანკეტები მაყურებელთა გამოკითხვისათვის, გამოიცა სარეკლამო მასალები, საკონკურსო ფილმების პროსპექტები. ყოველდღიურად გამოდის გაზეთი „ეკრანის ამბები“, იღებენ დოკუმენტურ ფილმს, ეწყობა რადიო და ტელეგადაცემები რუბრიკით „ფესტივალის დღიური“. პრესა ფართოდ აშუქებს ფესტივალის ამბებს.

ფესტივალზე, რომელშიც ჩვენი ქვეყნის ყველა კინოსტუდია მონაწილეობს, საკონკურსოდ წარმოდგენილია 19 მხატვრული, 7 მულტიპლიკაციური, 23 ქრონიკალურ-დოკუმენტური, 15 სამეცნიერო-პოპულარული ფილმი და 19 კინოჟურნალი.

„ქართული ფილმი“ კინოკონკურსზე წარმოდგენილია რეჟისორების შოთა და ნოდარ მანაგაძეების ახლი მხატვრული სურათით „წუთისოფელი“ და თენგიზ აბულაძის ფილმით „ყელსაბამი ჩემი სატრფოსათვის“. საქართველოს სამეცნიერო-პოპულარული და ქრონიკალურ - დოკუმენტური ფილმების სტუდიამ წარმოადგინა ახალი ფილმი „ადამიანი და კანონი“.

აჩვენებენ კონკურსგარეშე ფილმებსაც.

ფესტივალზე მონაწილეობისათვის თბილისში ჩამოვიდნენ საზღვარგარეთელი სტუმრები. მათ შორის არიან გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, ბულგარეთის, უნგრეთის, პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიის, რუმინეთის კინოხელოვნების თვალსაჩინო წარმომადგენლები.

გამარჯვებულთათვის დაწესებულია პრემიები ჟანრებისა და კინოს სახეობათა მიხედვით, აგრეთვე საუკეთესო კინოსცენარის, ფილმის მუსიკისათვის, საოპერატორო მუშაობისათვის, ქალისა და მამაკაცის როლების საუკეთესო შემსრულებელთათვის და ა. შ.

კაირო, 1972 წლის მარჯი

1972 წლის 2-23 მარტს კაიროში ეწყობა საერთაშორისო გამოფენა. ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკის დედაქალაქში აღიმართება ოცდაათზე მეტი მონაწილე ქვეყნის ალმები. საბჭოთა პავილიონის ექსპოზიცია, უდიდესი იქნება ამ საერთაშორისო დათვალიერებაში. საქართველოს სსრ წარმოდგენილი იქნება დამოუკიდებელ განყოფილებაც საბჭოთა კავშირის ექსპოზიციაში.

საქართველოს სავაჭრო პალატის პრეზიდიუმის თავმჯდომარემ რაფიელ ელიავამ განმარტა:

— საბჭოთა კავშირი კაიროს გამოფენაში უკვე მესამედ მონაწილეობს. ამ დათვალიერების მიზანი ის არის, რომ კიდევ უფრო გაღრმავდეს სსრ კავშირისა და ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკის მეგობრობა და თანამშრომლობა, გაფართოვდეს სავაჭრო, ეკონომიური და კულტურული ურთიერთობა საზღვარგარეთის ქვეყნებთან. ექსპოზიცია ასახავს ლენინური ეროვნული პოლიტიკის, მოძმე რესპუბლიკების მეგობრობისა და თანამშრომლობის თემებს. საქართველოს სსრ რესპუბლიკის ექსპოზიციის მთავარი მიზანი ის არის, რომ უჩვენოს ლენინური ეროვნული პოლიტიკის გამარჯვება ჩვენი კულტურის, მეცნიერების, სახალხო მეურნეობის განვითარების მაგალითით, გააშუქოს რესპუბლიკის საექსპორტო შესაძლებლობანი და სავაჭრო-ეკონომიური ურთიერთობა.

საქართველო ბევრჯერ მონაწილეობდა საზღვარგარეთ გამართულ საბჭოთა გამოფენებში, დამოუკიდებელი განყოფილებები უკვე ვუჩვენეთ იზმირში, ალჟირში, პარიზსა და ბაზელში. უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს პავილიონებზე მნახველთა საუკეთესო შეფასება დაიმსახურა. როგორც ცნობილია, ალჟირის ბაზრობის ორგანიზატორთა გადაწყვეტილებით საბჭოთა პავილიონს საქართველოს სექციისათვის მიენიჭა უმაღლესი ჯილდო — დიდი ოქროს მედალი. ეს იყო პირველი შემთხვევა, როცა მოკავშირე რესპუბლიკა დაჯილდოვდა ოქროს მედლით საზღვარგარეთის გამოფენაზე.

რიგში დგას კაირო. რას აჩვენებს ჩვენი რესპუბლიკა კაიროში? საბჭოთა საქართველოში ორმოცდაათი წლის მანძილზე განხორციელდა ძირეული ცვლილებები სახალხო მეურნეობაში, მოხდა დიდი ეკონომიური და კულტურული ძვრები, ჩამოყალიბდა და განმტკიცდა ადამიანთა ახალი ურთიერთობა...

განყოფილების შესასვლელის წინ მოთავსებული იქნება მხატვრულად შესრულებული საქართველოს სსრ სახელმწიფო ალამი, გერბი და წარწერა ქართულ და არაბულ ენებზე: „საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა 15 თანასწორუფლებიანი მოძმე რესპუბლიკიდან ერთ-ერთია საბჭოთა ხალხის დიად ოჯახში.

მხატვრული ფორმით აისახება საჭირო მონაცემები რესპუბლიკის ტერიტორიის, მოსახლეობის შედგენილობისა და რიცხვის, ძირითადი სამრეწველო, სასოფლო-სამეურნეო, სამეცნიერო კულტურული და გამაჯანსაღებელი ცენტრების განლაგების შესახებ. ლამაზად გაფორმებული ფოტოსურათებით გამოფენის დამთვალიერებლები ნახავენ ქალაქებს თბილისს, სოხუმს, ბათუმსა და ცხინვალს. რუკა-სქემაზე ნაჩვენები იქნება საქართველოს კულტურული, ეკონომიური და მეგობრული ურთიერთობა ქვეყნის მოძმე რესპუბლიკებთან.

კაიროში გათვალისწინებულია საქართველოს საწარმოთა მარკიანი ექსპონატების ფართოდ ჩვენება, რომლებსაც უკვე ვზავნიან საექსპორტოდ, აგრეთვე საგარეო ბაზრისათვის განკუთვნილი ახალი ნაწარმი. მათ შორის იქნება ჰიდრომეტეოროლოგიური ხელსაწყოები, ფრთიანი კატარღა, ელექტროძრავები, საგამოცდო მანქანა „აისი“, გამოსათვლელი მანქანები, მანგანუმის, ფეროშენადნობთა, ავეჯის, ქსოვილების, მედიკამენტების, მუსიკალური საკრავებისა და სხვათა ნიმუშები.

დამთვალიერებლები ნახავენ მსოფლიოში პირველ ჩაის საკრეფ მანქანა „საქართველოს“, ყურძნის პირველადი დამუშავების როტორულ-კარუსელური ავტომატური ხაზის მაკეტებს.

ერთ-ერთ განყოფილებაში გამოფენილი იქნება ექსპონატები, რომლებსაც ამზადებენ საქართველოს კავების მრეწველობის საწარმოები; საქვეყნოდ ცნობილი ქართული ღვინოები, რომლებსაც არაერთხელ გაუმარჯვიათ უდიდეს საერთაშორისო გამოფენასა და ბაზრობებზე, მინერალური და ხილის წყლები, სამარკო კონიაკები, კონსერვები...

ორიგინალურად იქნება გადაწყვეტილი განყოფილებები, რომლებიც ეძღვნება საქართველოს კულტურას, მეცნიერებას, ხელოვნებასა და არქიტექტურას. სლაიბური დიაპროექტორის საშუალებით პავილიონის მნახველები დარწმუნდებიან, თუ როგორ აყვავდა ქართველი ხალხის კულტურა. ექსპოზიციაში შეტანილია აგრეთვე განყოფილება „ტურიზმი“, კურორტები, სპორტი. კინოდარბაზში აჩვენებენ საქართველოს კინოსტუდიების მხატვრულ, დოკუმენტურ, მულტიპლიკაციურ და სარეკლამო ფილმებს.

ჩვენს განყოფილებაში შეიქმნება საინფორმაციო ცენტრი „რის გაგება გსურთ საქართველოს სს რესპუბლიკის შესახებ?“ აქ სტუმრებს გადასცემენ ბუკლეტებს საქართველოს მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, მეცნიერების, კულტურის, განათლების, ჯანმრთელობის დაცვისა და სპორტის შესახებ სამახსოვრო სამკერდე ნიშნებს.

შალვა სვანი

ცეკავშირის სავაჭრო ურთიერთობანი

ბუდაპეშტში დამთავრდა მოლაპარაკება სავაჭრო საკითხებზე 1972 წლისათვის ჩვენი ქვეყნის, უნგრეთისა და ჩეხოსლოვაკიის კოოპერატორთა შორის.

შეთანხმების თანახმად, საქართველო უნგრეთსა და ჩეხოსლოვაკიას გაუგზავნის სამკურნალწამლო და ტექნიკურ ნედლეულს. შამპანური ღვინოებს, ხილის კონსერვებსა და სხვა საქონელს.

სამაგიეროდ, ჩვენი რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მუშაკები მიიღებენ საგალანტერეო ტრიკოტაჟის ნაწარმს, ფეხსაცმელს, ქსოვილს.

წლეულს საქართველოდან გაიგზავნება 15 მილიონი მანეთის საქონელი.

ბერლინის ტელევიზიით

ბერლინის ტელესტუდიამ მოაწყო მხატვრული თვითმოქმედების საერთაშორისო სატელევიზიო ფესტივალი. ჩვენი ქვეყანა ამ ფესტივალზე წარმოადგინა ტყიბულის კულტურის სასახლის ანსამბლმა.

ეს მოგზაურობა პირველი როდი იყო საზღვარგარეთ. შარშან ანსამბლმა წარმატებით გამართა კონცერტები ბულგარეთში — სოფიაში, ვარნაში, ბურგასში და ყველგან ხელოვნების მოყვარულთა დიდი მოწონება დაიმსახურა.

ლია ბარათები

ამომცემლობა „ავრორამ“ (ლენინგრადი) გამოაქვეყნა ლია ბარათების კომპლექტი ნიკო ფიროსმანაშვილის ნახატებით. კომპლექტში 16 ლია ბარათია და დართული აქვს ბუტორინას წერილი „ნიკო ფიროსმანაშვილი“ რუსულ და ინგლისურ ენებზე.



ქართული ფეხბურთის დასაწყისი

60 წლის წინათ — 1912 წლის 26 მარტს თბილისში შედგა პირველი საერთაშორისო მატჩი ფეხბურთში — ერთმანეთს შეხვდნენ თბილისის ტანვარჯიშის საზოგადოება „შევარდნის“ და ბაქოდან ჩამოსული ინგლისელების გუნდები. ამ საინტერესო თამაშის დაწვრილებითი ანგარიში გაზეთმა „კავკაზმა“ იმავე წლის 1 აპრილს გამოაქვეყნა. როგორც გაზეთი იტყობინებოდა, ამ საერთაშორისო შეხვედრაში განსაკუთრებით გამოიჩინა თავი გაგუამ, რომელმაც ინგლისელთა კარში...

თუმცა, სჯობს ამ მატჩის შესახებ თვით ბ-მა ისიდორე გაგუამ გვიამბოს... პირველ ქართველ ფეხბურთელს გუშინ ბინაზე ეწვია ჩვენი კორესპონდენტი და სთხოვა პასუხი გაეცა ზოგიერთ შეკითხვაზე.

●ბატონო ისიდორე, რამდენიმე დღის წინათ ხიამოვნებით გადავიკითხეთ „კავკაზში“ დაბეჭდილი ვრცელი წერილი თბილისში ჩატარებული პირველი საერთაშორისო შეხვედრის შესახებ და როგორც სპორტულ წრეებში შევიტყეთ, გაზეთში ნახსენები „გაგუა“ (სახელი არ არის მოხსენებული), თქვენ ბრძანდებით.

დიახ, მე ძომიხდა მაშინ თამაში „შევარდნის“ გუნდში.

●როგორ დაიწყო პირველი ფეხბურთი?

საზოგადოების დარბაზში ვვარჯიშობდით. შემოვიდა საზოგადოების ერთ-ერთი ხელმძღვანელი. „ბიჭებო — გვითხრა მან, — რას იტყვით, რომ ფეხბურთის გუნდი ჩამოვაყალიბოთ“. ერთმანეთს გადავხედეთ. „ჰო, ხომ გაგიგიათ ამ თამაშის შესახებ — ფეხით ბურთის თამაშია, მოდი ვცადოთ. ბურთი უკვე ვიშოვეთ. რაც შეეხება ფორმას, ამაში თქვენ უნდა დამეხმაროთ. ხვალ სახლიდან წამოიღეთ სუფთა პერანგის ამხანაგები და თეთრი მაისურები. 12 საათზე იპოდრომზე მოდით, დანარჩენს იქ მოვილაპარაკებთ“.

მეორე დღეს ბევრნი მივედით დიდუბის იპოდრომზე. ხელმძღვანელძა ერთს პერანგის ამხანაგი გამოართვა, ჯიბიდან დანა ამოიღო და ტოტები მოაჭრა. „ყველამ ტოტები წააჭერით და ჩაიცვით“.

და ჩვენც თეთრ „ტრუსებში“ გამოწყობილებმა პირველად დავარტყით ბურთს ფეხი.

იპოდრომზე რამდენიმე ვარჯიშის ჩატარების შემდეგ, ჩვენთვის მიწის თავისუფალი ნაკვეთი გამოჰყვეს აბასთუმნის და ელისავეტინსკის ქუჩების კუთხეში.

●ეგ რა ადგილია?

სადაც დღეს თბილისის ცენტრალური ბაზარია. ხრიოკი ადგილი ქვებისაგან გავწმინდეთ, ჯერ დიდი ქვების გროვებით აღვნიშნეთ კარები, მერე კი ნამდვილი ძელები ჩავსვით.

სწორედ ამ პოედანზე მოხდა ჩვენი შეხვედრა ინგლისის გუნდთან ამ სამოცი წლის წინათ.

ინგლისელების გუნდი უკვე საკმაოდ გამოცდილი ფეხბურთელებისაგან შედგებოდა და ამიტომ ბევრი ფიქრობდა, დიდი ანგარიშით დაგვამარცხებდნენ, მით უმეტეს, ჩვენი გუნდი ახლად იყო ჩამოყალიბებული. სწორედ ამიტომაც მინდოდა, რაც შეიძლება კარგად მეთამაშა. თამაში 4 საათზე უნდა დაწყებულიყო, მაგრამ შხაპუნა წვიმა წამოვიდა. ზოგიერთმა აზრი გამოთქვა, თამაში მეორე დღისათვის გადაგვეტანა, ინგლისის გუნდის უფროსმა ტვიდმა კი განაცხადა — არ შემიძლია, ხვალ ზოგიერთი მოთამაშე აუცილებლად უნდა დაბრუნდეს ბაქოში. ჩვენ შევთანხმდით, რომ რამდენიმე მოთამაშეს „დაეუთმობდით“ ბაქოში გამგზავრებულთა ნაცვლად. ამასობაში წვიმამაც გადაიღო და გუნდები სასულე ორკესტრის მარშის ხმებზე საკმაოდ შემშალ მოედანზე გამოვედით.

●ვინ იყო მატჩის მსაჯი?

„შევარდენმა“ მსაჯობა შესთავაზა სტუმარს — ინგლისელების გუნდის უფროსს ტვიდს.

●კი, მაგრამ...

გინდათ თქვათ, რომ ეს არ იქნებოდა ობიექტური მსაჯობა? მართლაც, ისე მოხდა, თუმცა ამაზე ლაპარაკი არ ღირს.

●ბატონო ისიდორე, აი რას წერდა „კავკაზი“: „შევარდნის“ მოთამაშეები მაშინვე იერიშზე გადავიდნენ, ზუსტად აწვდიდნენ ერთმანეთს ბურთს, სწრაფი შეტევით დაბნეულმა ინგლისელებმა ვერ მოასწრეს ბურთის ხელში ჩაგდება და არ გასულა სამი წუთი თამაშის დაწყებიდან, რომ „შევარდნის“ ფორვარდმა მოხოვმა მოხდენილი დარტყმით ბურთი კარში გაიტანა“.

— დიახ, დიახ, მოხოვი... სამხედრო მფრინავი გახლდათ.

● „თამაშის დაწყებიდან ნახევარი საათის შემდეგ შევარდნელმა ფორვარდმა გაგუამ მინდვრის მარცხენა მხარეზე მიიღო ბურთი, ოსტატურად მოატყუა მოწინააღმდეგის მცველები და ძლიერი დარტყმით ბურთი ინგლისელების კარისაკენ გაგზავნა. მათმა გოლლერმა (კარების დამცველი) კლეიველმა თავგანწირულ ნახტომში სცადა ბურთის აღება, მაგრამ ფეხი დაუცურდა და მიწაზე დაეცა“. გახსოვთ?

ისიდორემ ერთბაშად ვერ უპასუხა ჩვენს კითხვას. მოგონებამ ფიქრების კორიანტელი აუშალა. თვალები გაუბრწყინდა და თანხმობის ნიშნად თავიღა დაიქნია.

მერე?

ინგლისელმა თავდამსხმელმა ლიმ საპასუხო ბურთი გაიტანა ჩვენს კარში. შემდეგ წარმატება ისევ ჩვენ გვხვდა. ერთი სიტყვით, თამაში გარდამავალი უპირატესობით მიმდინარეობდა და იგი დამთავრდა 5:4 სტუმრების სასარგებლოდ.

თამაში ისე საინტერესო ყოფილა მაყურებელთათვის, რომ ორივე გუნდის ფეხბურთელები ახალგაზრდობამ ხელში აგვიტაცა და ისე გაგვიყვანა მოედნიდან.









●ბატონო ისიდორე, კვლავ მინდა შეგახსენოთ პატარა ადგილი გაზეთ „კავკაზიდან“, რომელშიც გუნდის შემადგენლობაზეა ლაპარაკი. გაზეთის ცნობის თანახმად გუნდები შემდეგი შემადგენლობით გამოდიოდნენ: „ინგლისელი ფორვარდები : ბეკერი, ლი, ბრაუნი, განსონი და ფოტერინგტომი, ნახევრად ბეკები — შარაპატე, მიტჩელი, (კაპიტანი), კოლლისი, ბეკი მორი და გარდინერი, გოლკიპერი — კლეიველი; „შევარდენის“ ფორვარდები: გაგუა, მაიერი, თავადი ბარათოვი (ციცეკაპიტანი), მოხოვი და კობერტი, ნახევრად ბეკები — პიშკინი, საპოუნიკოვი, აზატიანცი, ბეკები — ტრუშჩენიკოვი, როსტომბეგოვი, გოლკიპერი — მაჟავარიანი“.

— გუნდების შემადგენლობა მართლაც სწორია. ჩვენი და ინგლისელთა გუნდების ფოტოსურათებიც კი შემომრჩა.

●გთხოვთ ნება მოგვცეთ ფოტოსურათები „სამშობლოს“ მკითხველებს გავაცნოთ.

— სიამოვნებით. დამავიწყდა მეთქვა, რომ „შევარდენი“ 1913 წელს ბაქოში საპასუხო „ვიზიტით“ ჩავიდა და რევანში აიღო ინგლისის გუნდთან. მატჩი დამთავრდა 2:0 ჩვენ სასარგებლოდ.

●ბურთები ვინ გაიტანა?

გაგუას ოდნავ გაეღიმა. — ორივე ბურთი მე გავიტანე.

●საიდან მოხვდა ბაქოში ინგლისელთა გუნდი?

— ბაქოს ნავთობსაწარმოებში მაშინ ბევრი ინგლისელი იყო და სწორედ მათგან იყო შედგენილი ეს გუნდი. ინგლისელებს უყვართ... ფეხბურთი.

●თქვენს გარდა, კიდევ ვინ შეიძლება დღეს ვნახოთ იმდროინდელი „დიდი ფეხბურთის“ მონაწილე?

— სამწუხაროდ, რამდენადაც ვიცი, ჩემი კოლეგები დღეს ცოცხლები აღარ არიან.

●რას გვეტყვით დღევანდელ ფეხბურთზე?

— არ შემიძლია ტელევიზორს ვუყურო, როცა ქართველი ფეხბურთელები თამაშს აგებენ. გამოვრთავ და მეორე ოთახში გავდივარ. — კვლავ გაიღიმა და ტელევიზორს შეხედა. ალბათ გაიფიქრა, — სად არის ჩემი სიჭაბუკე პერანგის გადაჭრილი ამხანაგით მოედანზე რომ დავრბოდიო. — მე ტემპიანი თამაშის მომხრე ვარ. მახსოვს, სწორედ ეს მაძლევდა მცველებისაგან თავის დაღწევის საშუალებას. მიყვარდა ბურთის ქართან ახლოს მიტანა და კარში პირდაპირ ბურთიანად შესვლა.

ᲓᲦᲔᲡ ბატონი ისიდორე გაგუა 80 წელს გადაცილებულია, თუმცა ასაკს სულაც არ იტყობს ეს სპორტით გამზნევებული ადამიანი! 1929 წელს თამაშის დროს ფეხი რომ არ დამზიანებოდა, დღესაც კარგად ვირბენდიო, გაიმეორა ამბავდარმა დასტაქარმა ლამის ბავშვური ღიმილით, თან მინისაგან ლაქაჯად დამზადებული ბურთი ხელში შეათამაშა, სამახსოვროდ რომ გადაეცა მისთვის ერთ ქართველ მკითხველს.

პროფესორ ისიდორე გაგუას თბილისში კარგად იცნობენ როგორც შესანიშნავ სტომატოლოგს და ქართველი ახალგაზრდობის გულისხმიერ აღმზრდელს, დღიდან კი ქართული ფეხბურთის ცოცხალ მატიანედაც იქცნობდეთ.

გიგლა გერიძე

სურათებზე: (ზემოდან მარცხნივ) ფეხბურთელი, (მარჯვნივ) პროფესორი ისიდორე გაგუა; „შევარდნის“ გუნდი, პირველ რიგში — მარჯვნიდან პირველი ისიდორე გაგუა; ინგლისელთა გუნდი.

ქრონიკა

უძლიერესი მოყვარულთა შორის

სპეციალისტებისა და ჟურნალისტების ავტორიტეტულმა კომისიამ ალექსანდრე მეტრეველი მოყვარულთა შორის ავსტრალიის პირველ ჩოგნად და მსოფლიოში უძლიერესად დაასახელა.

ამ აღიარებას წინ უძღოდა ქართველი სპორტსმენის ტრიუმფალური გამარჯვებები მწვანე კონტინენტის კორტებზე. ალექსანდრე მეტრეველმა მონაწილეობა მიიღო ევრეთ წოდებულ ავსტრალიურ ცირკუსში, რომლის პროგრამა მოიცავს ექვს ტრადიციულ ტურნირს — ავსტრალიის ხუთი შტატისა და ქვეყნის ღია ჩემპიონატებს. აქედან ხუთ შეჯიბრებაში მეტრეველმა დასძლია როგორც მასპინძლების, ისე უცხოელი სტუმრების ძლიერი მეტოქეები და პირველი ადგილი დაისაკუთრა. მხოლოდ ერთ ტურნირში იყო მეორე.

აღსანიშნავია, რომ დიდი ავსტრალიური ცირკუსის არსებობის 25 წლის მანძილზე ჯერ არც ერთ ჩოგბურთელს არ რგებია ამგვარი წარმატება!

პრიზი — კობა წაქაძეს

ბაკურიანში ამ დღეებში „მფრინავ მოთხილამურეთა“ დიდი საერთაშორისო ტურნირი გაიმართა. ბორჯომის თვალწარმტაც ხეობას ეწვივნენ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, უნგრეთის, ავსტრიის, ფინეთის, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისა და ჩვენი ქვეყნის თხილამურებით ტრამპლინიდან მხტომელები, რომლებიც ერთმანეთს ეცილებოდნენ საქართველოს მინისტრთა საბჭოს პრიზს.

სტარტზე გამოვიდა 47 მონაწილე. დიდებულად იასპარეზა ჩვენმა თანამემამულემ კობა წაქაძემ. მან პირველ ცდაზევე დასძლია 103 მეტრი, მეორეზე — 102 მეტრი, რის შედეგადაც პირველი ადგილი და პრიზი მოიპოვა.

„დინამო“ ინდონეზიაში

საერთაშორისო ამხანაგური მატჩების გასამართავად თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელები ინდონეზიას ეწვივნენ. ჩვენი ქვეყნის წარმომადგენლებმა პირველ შეხვედრაში ანგარიშით 4:2 დაამარცხეს დანიის თასის მფლობელი „ოდენსეს“ გუნდი, რომელიც სტუმრად არის ამ ქვეყანაში. ორი ბურთი გაიტანა გოჩა გავაშელმა, თითო — კახი ასათიანმა და გივი ნოდიამ.


აშშ — საქართველო

თბილისის სპორტის სასახლეში გაიმართა საერთაშორისო შეჯიბრება თავისუფალ ჭიდაობაში. ერთმანეთის პირისპირ დადგნენ ამერიკის შეერთებული შტატებისა და საქართველოს თავისუფ ლი სტილის მოჭიდავეები. ანგარიშით 7:1 გაიმარჯვეს ჭართველმა ფალავნებმა. ერთადერთი გამარჯვება თავის გუნდს მსოფლიოს ჩემპიონმა დენ გეიბლმა მოუტანა.

დედაენა

საზღვარგარეთულ თანამემამულეთათვის
შედგენილი ვალერიან რამიშვილის მიერ
იაკობ გოგებაშვილის „დედაენის" მიხედვით

გაკვეთილი 7



უთო

უ - თო


უ თ ო

უ

თუ-თა. უ-თო. სუ-თი.

აი თუთა. აი უთო. სუთი თითი. სუთი თხა. აი თუთის ხე. აი სუთი თითი.

ეს თეთრ უთოა. ის სოსოს თუთის ხეა.



გაკვეთილი 8



ძუა


ძუ - ა

ძ უ ა

ძ

ძე. ძი-ძა. ძუ-ა. თე-ძო. ძი-ა. ე-ძა-სის. აი ძუა. ეს თეძოა. ის თეძოს ძიძაა. აი ძიას სახე. ძიძია იასეს ძიძაა. აი სუთი ხე.

ეს ძიას სათითა. ის ძიძას თასია. თეო სოსოს ემახის. ეს სუთი თასი თეოსია. ის ძიძიას თუთის ხეა.



გაგრძელება. იხ. „სამშობლო" 1972, № 1, 2, 3.

არ დაივიწყოთ, ისწავლეთ დედაენაც ქართულად!

დ ა ე ძ ე ბ ე ნ
არჩილ მჭედლიშვილს...



— ძმა ვიპოვე, ძმა, ჩემი სისხლი და ხორცი!... თუ... მგონია ვიპოვე... დამეხმარეთ, თუ ის არის, წერილს მივწერ და აუცილებლად მიპასუხებს...

თვალზე ცრემლმომდგარ ქალს სკამი შევთავაზე, დავმშვიდე და ვთხოვე დაწვრილებით აეხსნა, ჩვენთან რამ მოიყვანა, ვინ იყო მისი ძმა...

პასუხად გაზეთ „სამშობლოს" 1971 წლის ბოლო ნომერი გამომიწოდა. საფრანგეთიდან სამშობლოში დაბრუნებული ვახტანგ წიკლაურის საახალწლო მილოცვას წითელი ფანქარი ჰქონდა შემოვლებული.

— აი აქ წერია, რომ ვახტანგ წიკლაური ახალ წელიწადს სხვებთან ერთად საფრანგეთში მცხოვრებ თავის მეგობარს, საგარეჯოში დაბადებულ და გაზრდილ კაცს არჩილ მჭედლიშვილსაც ულოცავს. არჩილი კი ჩემი ძმა უნდა იყოს! იცით, ბევრის დაზუსტება ვერ მოვახერხე, მაგრამ ის კი ნამდვილად დავადგინე, რომ საგარეჯოდან სამამულო ომში სხვა არჩილ მჭედლიშვილი არ გაუწვევიათ! — ამიხსნა სტუმარმა.

მტკიცების ეს არგუმენტი მაინც და მაინც სარწმუნოდ როდი მეჩვენა, მაგრამ მოდი და ქალს, რომელიც დარწმუნებულია, ოცდაათი წლის წინათ დაკარგული ძმა ვიპოვეო, უთხარი — შეცდი, პარიზში მცხოვრები არჩილ მჭედლიშვილი შეიძლება შენი ძმა არ არისო.

ვურჩიე, ვახტანგ წიკლაურისათვის მიემართა, მიეტანა მასთან ძმის სურათი და თუ იგი ამ სურათში თავის პარიზელ მეგობარს ამოიცნობდა, მაშინ ძმასთან ხმის მიწვდენას წინ რაღა დაუდგებოდა.

მეორე დღეს შვიდნი მოვიდნენ. ძმის მაძიებელ ერთ დას მეორეც გამოჰყოლოდა, შვილები და შვილიშვილებიც თან წამოეყვანათ, ერთმანეთს ლაპარაკს აღარ აცდიდნენ:

—ვახტანგ წიკლაურმა ჩვენს მიერ მიტანილ სურათში თავისი მეგობარი არჩილ მჭედლიშვილი ამოიცნო, თუმცა გვითხრა, წლებს თავისი გააქვს, არჩილი რომ გავიცანი, ამნაირი აბალგაზრდა აღარ იყო, მაგრამ, ისე მგონია, არ უნდა ვცდებოდე, მგონი ის უნდა იყოსო...

ისევ „მგონი", ისევ ეჭვი: არის თუ არა საფრანგეთში მცხოვრები არჩილ მჭედლიშვილი ის კაცი, რომელსაც ესოდენ აფორიაქებული საგარეჯოელები ეძებენ?

ამ კითხვაზე უველაზე სწორი პასუხის გაცემა ჩვენს პარიზელ თანამემამულეს — არჩილ მჭედლიშვილს შეუძლია. ამიტომ გადავწყვიტეთ გამოგვექვეყნებინა წერილი, რომელიც მის სახელზეა დაწერილი და რომელიც, ავტორის ღრმა რწმენით, ოცდაათი წლის წინათ დაკარგულ ძმას ეკუთვნის.

„ჩემო მკვდრეთით აღმდგარო ძმაო!

თავი სიზმარში მგონია. ნუთუ ცოცხალი ხარ, ბიჭო, ცოცხალი ხარ და გაჩუმებულხარ, წერილს არა გვწერ, არ გინდა გული გაგვიხარო?!

ბიჭო, ადრე დაობლებულებს შენ გვედექი ქომაგად, შენ გვაპატრონობდი, შენი მზრუნველობა გვზრდიდა. ეხლა აღარ გინდა გაგვიხარო, იცოდე, რას ვკეთებთ, როგორ ვცხოვრობთ? მოგწერ, უველაფერს მოგწერ, ჩემო ძმაო, და იმედი მაქვს, პასუხს მალე მივიღებ, შენს ამბავსაც გავიგებ. შენ ის კაცი არა ხარ, სისხლსა და ხორცს გაემიჯნო, გულის ძახილი უპასუხოდ დატოვო.

მე ისევ კაკაბეთში ვცხოვრობ, ოთხი შვილის დედა და სამი შვილიშვილის ბებია ვარ. უფროსი ქალიშვილი გულო ადრე გამითხოვდა, ოჯახს მოეკიდა. საშუალო — სვეტლანამ — პოლიტექნიკური ინსტიტუტი დაამთავრა, ინჟინერია, მედიკო მუსიკის მასწავლებელია, გივი კი ჯერაც სწავლობს. ჩვენი საშუალო და — ქეთევანი საგარეჯოში ცხოვრობს, ალაზნის ქუჩის 45-ში და ქმრის გვარზე — ჯავახიშვილად იწერება. სამი შვილი ჰყავს ქეთევანს, უფროსი ქალიშვილი ვენერა ინჟინერია, საშუალომ, ნათელამ, საგარეჯოს ჰიდრომელიორაციული ტექნიკუმი დაამთავრა. ნაბოლარა გივი — ქეთევანის ბიჭი, ჩემი შვილის სეხნიაა — სწავლობს. ჩვენი უმცროსი და—ნაზიკო ხომ გახსოვს? (შენ რომ ჯარში გაგიწვიეს, 4 წლისა იყო და უველაზე დიდი სიყვარული შენ სწორედ იმისი გაგუვა), ჰოდა, ნაზიკოც გათხოვდა, ისიც სამი შვილის დედაა, შუათანა ბიჭს შენი სიყვარულით არჩილი დაარქვა.

ამდენ სტუდენტს თბილისში სახლი ხომ უნდოდა? ჰოდა, ვიყიდეთ სახლი. ბავშვები იქა ცხოვრობენ და სწავლობენ. მათი მისამართია: თბილისი, ბუხაიძის პირველი შესახვევი, 28. გვარად კი ჭიმშელაძეები. ჯავახიშვილები არიან. ამას იმიტომ გწერ, რომ თუ წერილს გამოგზავნი, იცოდე, რა გვარზე გამოგზავნო. აბა, რომელს აირჩევ?

მამა 1958 წელს გარდაიცვალა...

აი ჩვენი ოჯახის მთელი ასავალ-დასავალი. ველით შენს პასუხს. 30 წლის ლოდინი ისე არ გამჭირებია, როგორც ეს უკანასკნელი მოლოდინი მიჭირს, მაგრამ მთავარი მაინც ის არის, რომ შენ — ჩვენი სისხლი და ხორცი — ჩვენი უფროსი ძმა არჩილი იყო...

არჩილ! თუ ბედმა მიშუხლა და შენ ჩვენი ღვიძლი ძმა არა ხარ, წერილი მაინც მოიწერე. დაკარგული ძმის მაგივრად შენ გიგულებ...

შენი და მარო მჭედლიშვილ-ჭიმშელაძე.

საგარეჯოს რაიონი სოფელი კაკაბეთი".

რედაქციისაგან: ბატონო არჩილ! ამ წერილს რომ წაიკითხავთ და თქვენს მეხსიერებაში სამშობლოში გატარებული წლები აღდგება, ალბათ, გულიც ნატარები ბევრი სატკივარი წამოჰყოფს თავს. გამაგრდით. თუ ის ბუნი ხართ, ვისაც ეს წერილი მეუთვნის, მოგვილოცავს თქვენი ახლობლების პოვნა, თუ არადა, ალბათ, რამდენსამე სანუგეშო სიტყვას მაინც მოსწერთ იმ ადამიანებს, რომლებმაც ძალ შეგიცნეს...

დაგეძებენ, მოგელიან

დომენტი ნესტორის ძე ჯოხაძეს,

დაბადებულს 1916 წელს ამბროლაურის რაიონის სოფელ ბოსტანაში, ეძებენ შვილი — **გოგი,** რძალი — **დალი ჯოხაძეები,** მცხოვრებნი თბილისში, ბოგდან ხმელნიცკის ქუჩა № 9.

ვახტანგ და გიორგი ნიკოლოზის ძე ჯალაბაძეებს,

დაბადებულთ 1912 და 1915 წლებში გორის რაიონის სოფელ ჭორდში, ეძებენ დედა — **დარა,** ვახტანგის შვილი — **ვენერა,** ძმები — **ვასილ, აკაკი,** დები — **ანა, ნინო ჯალაბაძეები,** მცხოვრებნი თბილისში, რიონჰესის ქუჩა № 63.

ვალერი კონსტანტინეს ძე მაისურაძეს,

დაბადებულს 1919 წელს თბილისში, ეძებს დედა — **ბარბარე აბრამის ასული ჩიკვაიძე-მაისურაძე,** მცხოვრები თბილისში, ათონელის ქუჩა № 18.

ნიკოლოზ კალეს ძე ცქვიტინიძეს,

დაბადებულს 1920 წელს მახარაძის რაიონის სოფელ ასკანაში, ეძებენ მამა — **კალე,** დედა — **კესო,** ძმა — **რევაზ,** და — **ლამარა ცქვიტინიძეები,** მცხოვრებნი ქობულეთში, ნინოშვილის ქუჩა № 20.

მუშნი (მიხეილ) გერასიმეს ძე გულბანს,

დაბადებულს 1917 წელს მესტიის რაიონის სოფელ იფარში, ეძებენ დედა — **ბაბილინა,** მეუღლე — **მარო,** შვილი — **გულნარა,** შვილიშვილები — **ნანა და ბელა ჩეკურიშვილები,** ძმები — **იონა** და **შოთა გულბანები,** მცხოვრებნი გურჯაანში, სოფელ შრომაში.

შოთა აპოლონის ძე გულორდავას,

დაბადებულს 1919 წელს ზუგდიდის რაიონის სოფელ რუხში, ეძებს ძმა — **მოსე გულორდავა,** მცხოვრები ქალაქ ფოთში, წულუკიძის ქუჩა № 3, № 7 ბინა.

პარმენ ისიდორეს ძე ქოგალიას,

დაბადებულს 1920 წელს წალენჯიხის რაიონის სოფელ ლიაში, ეძებენ დედა — **ლიმო,** ძმა — **შოთა,** და — **ფენია,** ძმისწულები — **ჯიმშერ** და **ლორიტა ქობალიები,** მცხოვრებნი ქალაქ სოხუმში, ჭამბას ქუჩა № 120.

ნიკოლოზ გიორგის ძე წამალაძეს,

დაბადებულს 1923 წელს ქალაქ დუშეთში, ეძებენ დედა — **ანა,** ძმა — **გურამ,** და — **თინა წამალაძეები,** მცხოვრებნი ქალაქ დუშეთში, ლენინის ქუჩა № 12.

გიორგი (კოკი) ქსენოფორეს ძე ჰიჰინაძეს

დაბადებულს 1909 წელს თერჯოლის (ყოფილი ქუთაისის) რაიონის სოფელ გოდოგანში, ეძებენ შვილები — **ქსენოფორე (პიჰვინა)** და **გულიკო (ცუკუკა) ჰიჰინაძეები,** მცხოვრებნი ქუთაისში, ერევნის ქუჩა № 35.

დავით კოდრათის ძე გალოგრეს,

დაბადებულს 1922 წელს ლანჩხუთის რაიონის სოფელ ლესაში, ეძებს დედა — **ელენე ამბაკოს ასული გალოგრე,** მცხოვრები სოფელ ლესაში.

რედაქტორი გივი ქარბელაშვილი

ჩვენი მისამართია: გაზეთ „სამშობლოს" რედაქცია — თბილისი 8, რუსთაველის გამზირი № 42. ტელეფონები: 93-68-44, 93-56-25.
უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოება — თბილისი 26, ათონელის ქუჩა № 25.

ინდექსი 66488

ფასი 5 კაპ.